პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი
№ 43 (10129) | კვირა, 20 თებერვალი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

## დ ღ ე ს ნ ო მ ე რ შ ი ა:

საბჭოთა მთავრობის განცხადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის მომავალ მუშაობასთან დაკავშირებით (1-ლი გვერდი).
საკავშირო პროფსაბჭოს მეორე პლენუმი (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
ამომრჩეველთა შეხვედრა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან ამხ. გ. დ. ჯავახიშვილთან (მე-2 გვერდი).
ამომრჩეველთა შეხვედრა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან ამხ. მ. დ. ჩუბინიძესთან (მე-2 გვერდი).
შ. კალანდარიშვილი. — რუსეთის პირველი რევოლუციის გამოძახილი საქართველოში (მე-2 გვერდი).
სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში (მე-2 გვერდი).
ფელეტონი. — ს. არღუნელი, ო. კოლუაშვილი. — უცნაური „შეთავსება“ (მე-3 გვერდი).
გ. კახაბაშვილი. — ჩემი პაპა (მე-3 გვერდი).
ი. ბოჩკარიოვი. — ხალხთა ბრძოლა კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

# მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობა პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანაა

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებას და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებებს. ეს ისტორიული დოკუმენტები ახალი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მტკიცედ ახორციელებენ კომუნისტური საზოგადოების აშენების, ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შემდგომი გაძლიერების, მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირის განმტკიცების პოლიტიკას, მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების პოლიტიკას, რომელიც მხურვალედ მოიწონა საბჭოთა ხალხმა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებას „მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების შესახებ“ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და ხალხის საარსებო ინტერესებისათვის. პარტია აყენებს ამოცანას — უახლოეს წლებში მივაღწიოთ მეცხოველეობის განვითარების ისეთ დონეს, რომელიც საშუალებას მოგვცემს დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება კვების პროდუქტებზე, ხოლო მსუბუქი მრეწველობისა — ნედლეულზე. ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში ორჯერ და უფრო მეტად უნდა გადიდდეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებამ, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, მოისმინა და განიხილა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენება — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შედეგებისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ. აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ სოფლის მეურნეობაში დიდი ცვლილებანი მოხდა.

საქართველოს მშრომელებმა, რომლებიც თავდადებით იბრძვიან პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ერთგვარი წარმატებები მოიპოვეს სოფლის მეურნეობის განვითარებაში. მაგრამ, როგორც ეს აქტივის კრებაზე აღინიშნა, მიღწეული მხოლოდ დასაწყისია იმ უდიდესი მუშაობისა, რომელიც უნდა შესრულდეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობისათვის დასახული ამოცანების განსახორციელებლად.

მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს მთელი რიგი ღონისძიებანი განხორციელდა მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის, იგი მაინც ყველაზე ჩამორჩენილი დარგია ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში. ეს უმთავრესად იმით არის გამოწვეული, რომ ბევრი სასოფლო პარტიული ორგანიზაცია, ადგილობრივი საბჭოები, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, მტს-ები და კოლმეურნეობათა გამგეობები ჯერ კიდევ საკმაოდ არ აფასებენ მეცხოველეობას, მას მეორეხარისხოვან დარგად თვლიან, ზერელედ, საქმის უცოდინრად ხელმძღვანელობენ. რესპუბლიკის ბევრ კოლმეურნეობასა და მტს-ში ჯერ კიდევ ვერ ისწავლეს სწორად შეათავსონ ბრძოლა როგორც ტექნიკური და მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის, ისე მეცხოველეობის განვითარებისათვის. სადაც ამ უმნიშვნელოვანესი დარგისადმი ასეთ მზრუნველობას იჩენენ, იქ შედეგიც ჩინებულია.

მაგალითად, ამ მხრივ საყურადღებოა სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გამოცდილება. ეს სასოფლო-სამეურნეო არტელი თავისი მეურნეობით მრავალდარგოვანია. ყველა დარგის განვითარებისათვის აქ განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ. ამიტომ არის, რომ ამ კოლმეურნეობაში, თავდადებით იბრძვიან რა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის, შარშან სერიოზული წარმატებანი მოიპოვეს როგორც მემინდვრეობის, ისე მეცხოველეობის განვითარების საქმეში. მთელი პირუტყვი ბაგურ კვებაზე გადაიყვანეს. ამ მიზნით წინასწარ შექმნეს მტკიცე საკვები ბაზა. სიმინდი ნაწვერალზე დათესეს სასილოსედ. ამით მიაღწიეს იმას, რომ კოლმეურნეობის პირუტყვი ზამთარში უზრუნველყოფილია უხვი საკვებით. კოლმეურნეობის სარძეო ფერმაში მექანიზებულია მთელი რიგი შრომატევადი პროცესები. პირუტყვის მოვლა-პატრონობის სანიმუშოდ დაყენებამ, მისი კვების გაუმჯობესებამ უზრუნველყო წველადობის გეგმის გადაჭარბებით შესრულება.

მოწინავე კოლმეურნეობათა გამოცდილება ცხადყოფს, რომ მეცხოველეობის აღმავლობისათვის, მისი პროდუქტიულობის მკვეთრი გადიდებისათვის ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მყარი საკვები ბაზის შექმნას. ჩვენს რესპუბლიკას კი ყველა საჭირო პირობა აქვს ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს სიმინდს მარცვლეულის წარმოების გადიდების, მეცხოველეობის მყარი საკვები ბაზის შექმნის საქმეში. ამ ისტორიულ დოკუმენტში დასმულია ამოცანა — უზრუნველვყოთ საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონაში წელიწადში სიმინდის ორი მოსავლის მიღება, მისი აღება რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფისას მეცხოველეობის საკვები რესურსების გადიდების მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ სიმინდის მოყვანას ჩვენს რესპუბლიკაში ძველთაგან მისდევენ, რომ ამ კულტურის მოყვანაში საკმაო გამოცდილება გვაქვს, მთელ რიგ რაიონებში მაინც უგულებელყოფენ ამ ძვირფასი კულტურის უდიდეს მნიშვნელობას. მაგალითად, ასეთ შეუფასებლობას იჩენენ ხობის რაიონში, სადაც სიმინდის მოყვანის ყველაზე ხელსაყრელი პირობებია, ხოლო პირუტყვისათვის მყარი საკვები ბაზა არ გააჩნიათ. გაკვირვებას იწვევს ისიც, რომ ხობის რაიონში სიმინდის მოსავალი უფრო ნაკლები მოჰყავთ, ვიდრე ლენტეხისა და მესტიის მაღალმთიან რაიონებში.

ამოცანა ის არის, რომ თათბირებსა და კრებებზე მეცხოველეობის განვითარების შესახებ დეკლარაციული გამოსვლებიდან პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ. ვიზრუნოთ პირუტყვისათვის მყარი საკვები ბაზის შექმნაზე, ამ მიზნით მივაღწიოთ სიმინდის კულტურის განვითარებას, მისი მოსავლიანობის ამაღლებას. ამ საქმეში ფართოდ უნდა გამოვიყენოთ გამოცდილება ლაგოდეხის და ყვარლის რაიონებისა, სადაც თავთავიანი კულტურების აღების შემდეგ თესავენ სიმინდს და იმავე წელს მნიშვნელოვან მოსავალს იღებენ.

ის ფაქტი, რომ საშუალო წველადობა ერთ საფურავე ძროხაზე საქართველოში შეადგენს 521 კილოგრამს წელიწადში, მოწმობს რესპუბლიკაში წველადობის დაბალ დონეს. ასეთი სერიოზული ჩამორჩენა იმით არის გამოწვეული, რომ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, მტს-ები და კოლმეურნეობათა გამგეობები უსულგულოდ ეკიდებიან მეცხოველეობის განვითარების საარსებო საკითხებს. ამ მხრივ დამახასიათებელია შუახევის რაიონი. თუმცა მეცხოველეობას ამ რაიონის სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა აქვს, მაგრამ იგი რაიონის ხელმძღვანელთა ყურადღებით არ სარგებლობს. სწორედ ამით აიხსნება, რომ შარშან თვითეულ საფურავე ძროხაზე საშუალოდ 165,5 კილოგრამი რძე მიიღეს, ხოლო ზოგიერთ კოლმეურნეობაში წველადობა 100 კილოგრამს არ აღემატებოდა. მეცხოველეობას, აქ უყურადღებოდ რომ ეკიდებიან, ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ 1953-1954 წლების ზამთარში ცუდი კვებისა და მოვლის შედეგად 572 მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი მოკვდა.

მეცხოველეობის განვითარების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებები აქვთ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მთელ რიგ რაიონებს, აგრეთვე ახალქალაქის, ადიგენის, ქარელისა და სხვა რაიონებს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიულ ორგანიზაციებს საბრძოლო ამოცანად დაუსახა „გადაჭრით მოუღონ ბოლო მეცხოველეობის შეუფასებლობას და ნამდვილად წარმართონ პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ყურადღება, ყველა კომუნისტის, კომკავშირელის, კოლმეურნის, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და სპეციალისტების ღონისძიებანი ჩვენს ქვეყანაში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების ამოცანების გადასაწყვეტად“. ამ მიზნით, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა შევქმნათ პირუტყვისათვის მყარი საკვები ბაზა, ჩვენი რესპუბლიკის პირობებში დავნერგოთ პირუტყვის ბაგური შენახვის პროგრესული მეთოდები, ამ საქმეში გამოვიყენოთ მოწინავე კოლმეურნეობათა მდიდარი გამოცდილება.

მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობის ამოცანის გადაწყვეტაში უმნიშვნელოვანესი როლი უნდა შეასრულონ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა. ისინი აღჭურვილი არიან მდიდარი ტექნიკით, მათს განკარგულებაშია კვალიფიციურ ინჟინერთა, ზოოტექნიკოსთა, მუშათა კადრები. მტს-ები წარმოადგენენ კოლმეურნეობებისადმი სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის დასაყრდენ პუნქტებს. მტს-ი უნდა იყოს ისეთივე წამყვანი ძალა ხორცის, რძის, მატყლისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოებაში, როგორიც მარცვლეული და ტექნიკური კულტურების წარმოებაში.

ყველა საქმის წარმატების ბედს წყვეტენ ადამიანები, მათი მზადყოფნა — ბოლომდე იბრძოლონ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული ამოცანების განუხრელად განხორციელებისათვის. ახლა, როცა საჭიროა გაორკეცებული ძალღონით მივაღწიოთ მეცხოველეობის მკვეთრ აღმავლობას, წარმატების მთავარი პირობაა სოფლად მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესება. საჭიროა, რათა სოფლის თვითეულმა მშრომელმა ღრმად შეისწავლოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებები და დაიკავოს თავისი ადგილი ამ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის მებრძოლთა რიგებში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მეცხოველეობის მუშაკთა შორის პოლიტიკური მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას.

ამჟამად ადგილებზე მიმდინარეობს პარტიული ორგანიზაციების საქალაქო და რაიონული აქტივის კრებები, ხოლო შემდეგ გაიმართება პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებები. ამ კრებებზე განიხილავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შედეგებს. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ ეს კრებები გამოიყენონ მეცხოველეობის განუხრელი ზრდისა და არსებული რეზერვების გამოსავლინებლად, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანების წარმატებით შესრულებას.

# საბჭოთა მთავრობის განცხადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის მომავალ მუშაობასთან დაკავშირებით

25 თებერვალს ლონდონში მუშაობას დაიწყებს ქვეკომიტეტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიისა, რომელსაც გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით დაეკისრა ამოცანა კვლავ სცადოს მიაღწიოს შეთანხმებას შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების და ატომური და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვის საკითხზე. განიარაღების კომისიის საქმიანობაში წარმატების მიღწევის მნიშვნელობა ცხადია. მაგრამ კომისიასა და მის ქვეკომიტეტს დღემდე არაფერი გაუკეთებიათ სათანადო საერთაშორისო შეთანხმების მიღწევისათვის. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია გააკეთოს შემდეგი განცხადება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის დროიდან საბჭოთა კავშირი მტკიცედ მოითხოვს შეიარაღების საყოველთაო შემცირებას და ატომური იარაღის აკრძალვას, რადგან მიაჩნია, რომ ხალხთა გადარჩენა ატომური ომის საფრთხისაგან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამ მიზნით საბჭოთა კავშირს არაერთგზის შეუტანია წინადადებანი, რომელთა მიზანია საერთაშორისო შეთანხმების დადება შეიარაღების მნიშვნელოვანი შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ.

ამ დარგში ახალი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო საბჭოთა კავშირის წინადადება გენერალური ასამბლეის IX სესიაზე 1954 წლის სექტემბერში იმის შესახებ, რომ მომზადდეს საერთაშორისო კონვენცია ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვის, შეიარაღების არსებითად შემცირებისა და კონვენციის შესრულებისადმი საერთაშორისო კონტროლის დაწესების შესახებ.

რათა გაადვილებულიყო ამ საკითხზე შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობა, საბჭოთა კავშირმა წამოაყენა წინადადება, რომ კონვენციას საფუძვლად დაედოს საფრანგეთისა და ინგლისის წინადადებანი, რომლებიც მათ 1954 წლის 11 ივნისს შეიტანეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტში. ამ საბჭოთა წინადადებას, როგორც ცნობილია, მხარი დაუჭირეს როგორც გენერალური ასამბლეის სესიაზე, ისე მსოფლიოს ფართო საზოგადოებრივ წრეებში.

გენერალურმა ასამბლეამ განიარაღების კომისიასა და მის ქვეკომიტეტს დაავალა განიხილონ საბჭოთა კავშირის ეს წინადადებანი და სხვა ქვეყნების წინადადებანი იმ მიზნით, რომ გამონახონ შეიარაღების შემცირებისა და ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის ყველა სხვა სახეობის იარაღის აკრძალვის პრობლემის მისაღები გადაწყვეტა. ამასთან გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ საჭიროა განხორციელდეს ახალი ღონისძიებანი, რათა მიღწეულ იქნას შეთანხმება შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხზე.

ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი ახორციელებენ ღონისძიებებს, რომლებიც პირდაპირ იწვევენ საერთაშორისო შეთანხმების ჩაფუშვას. სწორედ ამას მოწმობენ მათ მიერ დადებული პარიზის შეთანხმებანი, რომლებიც ითვალისწინებენ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციას და მის შეყვანას სამხედრო დაჯგუფებებში, რომლებიც მიმართულია ევროპის მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რაც გარდუვალად იწვევს გამალებული შეიარაღების გაძლიერებას, აგრეთვე ატომური იარაღის წარმოების დარგში.

ამრიგად, პარიზის შეთანხმებანი, რომელთა განხორციელება დიდად გააძლიერებდა ევროპაში ახალი ომის და, მაშასადამე, მსოფლიო ომის საფრთხეს, შეუთავსებელია დასავლეთის აღნიშნული სახელმწიფოების მთავრობათა განცხადებებთან, რომ ისინი მზად არიან დაიწყონ მოლაპარაკება შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხზე.

ასეთ განცხადებებს პირდაპირ ეწინააღმდეგება აგრეთვე გადაწყვეტილება, რომელიც ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის საბჭოს სესიამ მიიღო 1954 წლის დეკემბერში. ამ ბლოკის მონაწილე სახელმწიფოებმა, მათ შორის ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა, საფრანგეთმა და კანადამ, რომლებიც ამავე დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის წევრები არიან, მიიღეს გადაწყვეტილება ატომური ომისათვის მზადების შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის მონაწილე სხვა ქვეყნების ასეთ პოლიტიკას არ შეიძლება არ მოჰყვეს გამანადგურებელი ატომური ომის საფრთხის გაძლიერება და მთელი მისი მძიმე შედეგები ხალხებისათვის, განსაკუთრებით ევროპის, და არა მარტო ევროპის, ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში.

საბჭოთა მთავრობას, რომელიც განუწყვეტლივ ესწრაფვის საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას, მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობის დამყარებას და შეიარაღების საყოველთაო შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის პრობლემის გადაჭრას, თავის მოვალეობად მიაჩნია ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა ყურადღება მიაპყროს იმ პასუხისმგებლობას, რომელსაც ისინი კისრულობენ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციასთან დაკავშირებით, აგრეთვე ატომური ომის და განუწყვეტელი გამალებული შეიარაღების თავიანთ გეგმებთან დაკავშირებით.

დასავლეთის სახელმწიფოთა ამ პოლიტიკამ თავი იჩინა აგრეთვე სწორედ მაშინ, როცა წყდებოდა განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის შემადგენლობის საკითხი. ქვეკომიტეტში სრულიად არ არიან წარმოდგენილი აზიის ქვეყნები, თუმცა ეს ქვეყნები, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნები, დაინტერესებული არიან შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხის გადაჭრით. საბჭოთა კავშირი წინადადებას იძლეოდა, რომ ქვეკომიტეტის შემადგენლობაში შეეყვანათ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ინდოეთი, აგრეთვე ჩეხოსლოვაკია. მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოებმა არ მიიღეს ეს წინადადება და თავს მოახვიეს სხვა გადაწყვეტილება, რის შედეგადაც ქვეკომიტეტის შემადგენლობა არ შეიძლება ცნობილ იქნას დამაკმაყოფილებლად, რამაც უკვე მოახდინა უარყოფითი გავლენა ქვეკომიტეტის მთელ მუშაობაზე.

ხალხთა სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვენ დაუყოვნებლივ გადაწყდეს ატომური იარაღის აკრძალვის საკითხი, რათა შეუძლებელი გახდეს ატომის ენერგიის — კაცობრიობის გენიის ამ დიდი აღმოჩენის — გამოყენება ისეთი მიზნებისათვის, როგორიც არის ადამიანთა მასობრივი მოსპობა. ეს ინტერესები მოითხოვენ, რომ ახლავე დამყარდეს ფართო საერთაშორისო თანამშრომლობა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში. ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყნებისა და რაიონებისათვის, აგრეთვე სხვა სახელმწიფოებისათვის, რომლებსაც ამჟამად არა აქვთ ტექნიკური და სხვა შესაძლებლობანი, რაც საჭიროა ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით — მრეწველობაში, მედიცინასა და საქმიანობის სხვა მშვიდობიან დარგებში გამოყენებისათვის. სწორედ ამაზე დამყარებით საბჭოთა კავშირმა მთელ რიგ სახელმწიფოებს შესთავაზა სათანადო დახმარება ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების საქმეში და განიხილავს სხვა ქვეყნებისათვის ასეთი დახმარების გაწევის საკითხს.

მნიშვნელობა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საკითხზე საერთაშორისო კონფერენციისა, რომელიც მოწვეულ იქნება მიმდინარე წლის აგვისტოში ჟენევაში და რომელშიც საბჭოთა კავშირი ახლო მონაწილეობას მიიღებს, აგრეთვე დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად შეუწყობს იგი ნამდვილად ხელს საერთაშორისო თანამშრომლობას ამ დარგში. საბჭოთა მთავრობამ უკვე განაცხადა, რომ აღნიშნულ კონფერენციაზე იგი, ყოველივე სხვას გარდა, წარადგენს მოხსენებას სსრ კავშირში აშენებული პირველი იმ სამრეწველო ელექტროსადგურის გამოცდილების შესახებ, რომელიც წარმატებით მუშაობს ატომის ენერგიით.

თავისთავად იგულისხმება, რომ ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ საერთაშორისო შეთანხმების უქონლობა სერიოზული დაბრკოლებაა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის მთელი ძალით გაშლისათვის.

საბჭოთა მთავრობას, რომელიც ხელმძღვანელობს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს 1955 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილებით, რაც გამოხატულია უმაღლესი საბჭოს დეკლარაციაში, საჭიროდ მიაჩნია, ისევე როგორც წინათ, ხელი შეუწყოს იმას, რომ მიღწეულ იქნას სახელმწიფოთა შეთანხმება შეიარაღების საყოველთაო შემცირების შესახებ და, უწინარეს ყოვლისა, დიდ სახელმწიფოთა შეიარაღების მნიშვნელოვანი შემცირების შესახებ. საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის ყველა სხვა იარაღი უნდა აიკრძალოს და რომ უნდა განხორციელდეს სათანადო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ეფექტიან საერთაშორისო კონტროლს ატომური იარაღის აკრძალვისადმი, ისევე როგორც შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირებისადმი.

ატომური იარაღის მთლიანად აკრძალვისათვის დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ისეთი საერთაშორისო შეთანხმება, რომლითაც სახელმწიფოები საჯაროდ იკისრებენ ვალდებულებას უარი თქვან ამ იარაღის გამოყენებაზე. ცნობილია, რომ საბჭოთა მთავრობამ შესაბამისი წინადადება წამოაყენა თავის 1953 წლის 21 დეკემბრის განცხადებაში, აგრეთვე ამას მოითხოვდა მთელი 1954 წლის განმავლობაში ატომის საკითხზე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან მოლაპარაკების მსვლელობაში. სამწუხაროდ, დღემდე კიდევ არ მოხერხდა საჭირო შეთანხმების მიღწევა ამ საკითხში, თუმცა სავსებით ცხადია, რომ სახელმწიფოების მიერ ვალდებულების აღება — უარი თქვან ატომური იარაღის გამოყენებაზე — შეესაბამება ყველა ხალხის ინტერესებს და უაღრესად დადებითი მნიშვნელობა ექნება საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის. სახელმწიფოების უარი იმაზე, რომ გამოიყენონ ატომური იარაღი, ხშირად გააადვილებს შეთანხმების მიღწევას ატომური იარაღის სრული და უთუო აკრძალვის შესახებ, რაც შეესაბამება ყველა ხალხის მისწრაფებებს.

მხოლოდ ატომური და წყალბადის იარაღის სრულ აკრძალვას, მისი წარმოების, შენახვისა და გამოყენების აკრძალვას შეუძლია საბოლოოდ გადაწყვიტოს ატომური ომის საფრთხის თავიდან აცილების პრობლემა.

სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირის წინადადებებს, რომელთა მიზანია ატომური იარაღის უთუო აკრძალვა, სისტემატურად უარყოფენ ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და დასავლეთის სხვა სახელმწიფოები, რის გამო დღემდე არ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა ამ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხზე.

ამ ბოლო დროს ფართო საერთაშორისო საზოგადოებრივი წრეები მოითხოვენ ატომური და წყალბადის იარაღის არსებული მარაგის მოსპობას. ამ მოთხოვნის განხორციელება ხელს შეუწყობს ძირითადი მიზნის მიღწევას — ატომური იარაღის სრულ აკრძალვას და ყველა სახელმწიფოს შეიარაღებიდან ამ იარაღის ამოღებას.

ამის შესაბამისად და გენერალური ასამბლეის IX სესიაზე შეტანილ წინადადებათა დამატებით საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია შემოიტანოს წინადადება იმის შესახებ, რომ სახელმწიფოებმა იკისრონ შემდეგი ვალდებულებანი:

1. მთლიანად მოსპონ სახელმწიფოში არსებული ატომური და წყალბადის იარაღის მარაგი და მხოლოდ და მხოლოდ სამშვიდობო მიზნით გამოიყენონ ატომური მასალები.

2. არ გაადიდონ თავიანთი შეიარაღებული ძალების რიცხვი და თავიანთი შეიარაღება 1955 წლის 1 იანვრისათვის არსებულ დონესთან შედარებით, აგრეთვე არ გაადიდონ თავიანთი ასიგნობანი ომის მიზნებისათვის 1955 წლის საბიუჯეტო ასიგნობათა დონესთან შედარებით.

ამასთანავე საბჭოთა მთავრობა იმის მომხრეა, რომ დაწესდეს შესაბამისი საერთაშორისო კონტროლი ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებათა დაცვისადმი.

საბჭოთა მთავრობა აღიარებს, რომ ყველა ხალხი სასიცოცხლოდ დაინტერესებულია განიარაღებისა და ატომური იარაღის აკრძალვის პრობლემის გადაჭრით. არც ერთი სახელმწიფო, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი, — არც ერთი სახელმწიფო არ უნდა იქნას ჩამოცილებული ამ უმნიშვნელოვანესი და გადაუდებელი ამოცანის გადაჭრაში მონაწილეობისაგან.

ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ, რომ საბჭოთა კავშირი, კერძოდ, ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირზე 1954 წლის იანვარში წინადადებას იძლეოდა მოეწვიათ მსოფლიო კონფერენცია შეიარაღების საყოველთაო შემცირების საკითხზე. ასეთი კონფერენციის მოწვევა შეესაბამება საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების ინტერესებს, საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს.

საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ჯერ კიდევ 1955 წელს მოიწვიოს მსოფლიო კონფერენცია შეიარაღების საყოველთაო შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხზე.

1955 წლის 18 თებერვალი.

# ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## საბჭოთა კავშირის მარშალ ს. კ. ტიმოშენკოს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა კავშირის მარშალ ს. კ. ტიმოშენკოს დაბადების მესამოცე წლისთავთან დაკავშირებით და საბჭოთა სახელმწიფოს და საბჭოთა არმიის წინაშე მისი დამსახურების აღსანიშნავად, ამხ. სიმონ კონსტანტინეს-ძე ტიმოშენკო დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1955 წ. 18 თებერვალი.

# საკავშირო პროფსაბჭოს მეორე პლენუმი

18 თებერვალს მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, მუშაობა დაიწყო პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მეორე პლენუმმა.

პლენუმმა მოისმინა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ლ. ნ. სოლოვიოვის მოხსენება: „პროფკავშირთა ამოცანები „მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილების შესრულებაში“.

მოხსენების გამო გაჩაღდა კამათი.

(საკდესი).

# აგიტპუნქტების გამგეთა, აგიტატორთა და პროპაგანდისტთა საქალაქო თათბირი

ამ დღეებში საქართველოს კპ თბილისის კომიტეტმა მოაწყო აგიტპუნქტების გამგეთა, აგიტატორთა და პროპაგანდისტთა საქალაქო თათბირი. მოხსენება საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 37-ე წლისთავისა და საბჭოთა საქართველოს 34-ე წლისთავის შესახებ გააკეთა ამხ. მ. სედოვმა.

# ამომრჩეველთა შეხვედრა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან ამხ. გ. დ. ჯავახიშვილთან

ამ დღეებში მარჯანიშვილის სახელობის თეატრში შედგა ქ. თბილისის ქუთაისის № 9 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან, [illegible] ამხ. გიორგი დიმიტრის-ძე ჯავახიშვილთან. [illegible]

— არჩევნებისათვის მზადება, — თქვა მან, — [illegible] ცების პოლიტიკას, თავიანთ ძალებს ამრავლებენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

მთელი საარჩევნო კამპანიის მსვლელობამ კვლავ და კვლავ ცხადყო [illegible]

[illegible] ქოთა მთავრობა და ხალხი. ამ მზრუნველობას, თქვა მან, ახალგაზრდები უპასუხებენ ბეჯითი სწავლით, შთაგონებული შრომითა და კომუნიზმის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულებით.

[illegible] სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ამხ. გ. დ. ჯავახიშვილი, რომელმაც მხურვალე მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს მაღალი ნდობისათვის.

# ამომრჩეველთა შეხვედრა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან ამხ. მ. დ. ჩუბინიძესთან

გორკის სახელობის კულტურის სახლში გაიმართა თბილისის შრომის № 24 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან ამხ. მირონ დიმიტრის-ძე ჩუბინიძესთან.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ლ. ჯავახიშვილმა.

ნდობით აღჭურვილმა პირმა — თბილისის წყალმომწყობილობის ქარხნის ხარატმა ბ. გრაკნელმა ილაპარაკა იმ უდიდეს პოლიტიკურ და შრომითს აღმავლობაზე, რომლის ვითარებაშიც ემზადებიან საქართველოს მშრომელები არჩევნების დღისათვის, აღნიშნა მათი ურყევი გადაწყვეტილება ძალღონის დაუშურებლად იბრძოლონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

— არჩევნების დღეს, — თქვა მან, — ჩვენი ოლქის ამომრჩევლები ერთსულოვნად მისცემენ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს. ამით ისინი ხმას მისცემენ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, სოციალისტური სამშობლოს შემდგომ განმტკიცებას, მთელი მსოფლიოს მშვიდობას. კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის ღირსეული კანდიდატია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი მირონ დიმიტრის-ძე ჩუბინიძე.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ნდობით აღჭურვილმა პირმა — საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტროს საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსმა ვ. მარღანიამ. მან თქვა, რომ არჩევნებისათვის მზადების დღეებში საქართველოს მშრომელები ცხადყოფენ თავიანთ უსაზღვრო ერთგულებასა და სიყვარულს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი, რომლებიც დაუცხრომლად ზრუნავენ სოციალისტური სამშობლოს აყვავებისათვის.

— ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, — განაცხადა მან, — როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებებს, რომელთა მიზანია მძიმე ინდუსტრიის განუხრელი აღმავლობა, სოფლის მეურნეობის ყოველი დონისძიებით განვითარება, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება.

ამხ. მარღანიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი მ. დ. ჩუბინიძე დაახასიათა როგორც ღირსეული პატრიოტი და მოუწოდა ამომრჩევლებს არჩევნების დღეს ხმა მისცენ მას.

მე-11 კლასის მოსწავლემ ნ. ულჩუმბეგაშვილმა თქვა, რომ პარტია და მთავრობა ყოველდღიურად ზრუნავენ საბჭოთა ახალგაზრდობისათვის, აღნიშნა ის შესანიშნავი პირობები, რომლებიც შეუქმნეს ახალგაზრდობას შემოქმედებითი ნიჭის განვითარებისათვის.

ამომრჩეველმა დიასახლისმა ლ. ჩილინდრიშვილმა თქვა:

— ჩვენ ყოველდღიურად ვგრძნობთ, თუ რა უდიდეს ზრუნვას იჩენენ პარტია და მთავრობა ხალხის კეთილდღეობისათვის. არჩევნების დღეს ჩვენ ხმას მივცემთ პარტიის ბრძნულ პოლიტიკას, ჩვენი სამშობლოს შემდგომ აყვავებას.

დასასრულ სიტყვა წარმოთქვა დეპუტატობის კანდიდატმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. დ. ჩუბინიძემ. მან მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს დიდი ნდობისათვის. (საქინფორმი).

### მაღალნაყოფიერი შრომის ოსტატები მოგვითხრობენ

# როგორ გავადიდეთ მილსაგლინავი დგანის წარმადობა

დგანი 140, — ასე ეწოდება მილსაგლინავ საამქროში რამდენიმე რიგად ჩამწკრივებული მძლავრი დანადგარების წყებას, რომელზეც ფოლადის უნაწიბურო მილები იგლინება. მრავალრიცხოვან საგლინავ აგრეგატთა შორის წამყვანად ითვლება ეგრეთ წოდებული გამჭოლი დგანი, რომელსაც მომსახურებას უწევს ჩვენი ბრიგადა უფროსი მვალცავის, სამი მვალცავისა და ორი ოპერატორის შემადგენლობით.



დ. ძაბანია

• • •

გამჭოლი დგანის მუშაობა განსაზღვრავს ძირითადად საამქროში მილსაგლინავი აგრეგატების რიტმსა და შეწყობილობას.

— მაქსიმალურად გამოვიყენოთ პირველხარისხოვანი საბჭოთა ტექნიკა, თანდათან ავამაღლოთ მილსაგლინავი დგანის საათობრივი წარმადობა! — ასეთი ამოცანა დაისახა თავიდანვე ჩვენმა ბრიგადამ.

მილსაგლინავი საამქროს ნაექსპლოატაციოდ გადაცემის პირველ თვეებში ცვლაში 200 მილის გაგლინვას ძლივს ვახერხებდით, 1952 წლის ბოლოსათვის ცვლაში 800 მილის გამოშვებას მივაღწიეთ, შემდეგ, 1953 წელს, ეს მაჩვენებელი 1.200-მდე გავადიდეთ, ხოლო 1954 წელს ყოველ ცვლაში უკვე 1.350-1.400 ცალ მთლიანნაგლინ უნაწიბურო მილს ვამზადებდით. მიმდინარე წლის განვლილი პერიოდის ცალკეულ დღეებში კი ნორმით გათვალისწინებული 1.030-ის ნაცვლად ცვლაში 1.600-ზე მეტ მილნამზადს ვგლინავთ. წელს მარტო იანვარში ჩვენმა ცვლამ გეგმის გადამეტებით გამოუშვა 7.000 ცალზე მეტი მაღალხარისხოვანი მილი. ამჟამად გამჭოლი დგანის საათობრივი წარმადობა ნორმასთან შედარებით გადიდებულია 30 პროცენტით და თანაც საგრძნობლად არის ამაღლებული შრომის ნაყოფიერება.

ასეთ მაჩვენებლებს ჩვენმა ბრიგადამ უწინარეს ყოვლისა მიაღწია მვალცავებისა და ოპერატორების ურთიერთშეწყობილი მუშაობითა და ცალკეული ოპერაციების ზუსტი და სწრაფი შესრულებით. თვითეული მილის გაგლინვისას 7 ოპერაცია სრულდება. აქედან ყველა ოპერაცია, გარდა ორისა (ლითონის ღეროზე სამართულის გაწყობა და მისი შეცვლა), მექანიზებულია. მაგალითად, მილნამზადის მიწოდება საგლინავ ლილვაკებთან, ლითონის ღეროს გამოტანა, მისი გაწყობა ლილვაკებში, გაგლინული მასრის გადაცემა ავტომატური დგანისათვის სრულდება ოპერატორების მიერ პნევმატიკური მბჯგავის საშუალებით. მვალცავები ახდენენ სამართულის გაწყობასა და შეცვლას, თვალყურს ადევნებენ მილნამზადის გაგლინვის პროცესს, უფროს მვალცავს კი ევალება დგანის მომართვა, მუშაობაში შენიშნულ შეფერხებათა სწრაფად გამოსწორება, საამქროს უბნებს შორის კონტაქტის უზრუნველყოფა.

გამჭოლი დგანის წარმადობის გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სამანქანო დროისა და განსაკუთრებით ხელითა და დამხმარე მექანიზმებით მუშაობის დროის შემჭიდროებას. ჩვენი ბრიგადის ყურადღება სწორედ აქეთკენ არის მიმართული.

დროის რაციონალურად გამოყენებას უმთავრესად მუშაობის მაღალი რეჟიმის დაწესებითა და შესასრულებელი ოპერაციების თანმიმდევრობით ვაღწევთ. სამანქანო დროს ძირითადად ვამცირებთ საგლინავი ლილვაკების ბრუნვათა რიცხვის გადიდებითა და მათი დახრის ზუსტი, თანაბარი კუთხის გამოძებნით. დამხმარე მექანიზმებით შესასრულებელი დროის ეკონომიას კი იმით ვახერხებთ, რომ ერთი რომელიმე ოპერაციისათვის საჭირო დროის ხარჯზე მთლიანად ან ნაწილობრივ ვასრულებთ მეორე — მომდევნო ოპერაციასაც. მაგალითად, მილნამზადის საგლინავ ლილვაკებთან მიწოდება ჩვეულებრივ უნდა ხდებოდეს სამართულით ლითონის ღეროს საბოლოოდ გაწყობის შემდეგ. ჩვენი ბრიგადის ე. წ. უკანა მაგიდის ოპერატორს ღეროს გაწყობამდე წინასწარ მოაქვს მილნამზადი პნევმატიკური მექანიზმით ლილვაკებთან ახლოს. როგორც კი ღეროს სამართულით გააწყობენ, ოპერატორი მაშინვე აწოდებს მილნამზადს საგლინავ ლილვაკებს. ამრიგად ღეროს გაწყობისას მთლიანად სრულდება მომდევნო ოპერაცია და მისთვის დამატებით დროის ხარჯვა საჭირო აღარ ხდება. ამავე ხერხის გათვალისწინებით სრულდება ოპერატორების მიერ მთელი რიგი სხვა ოპერაციები, რაც დროის საგრძნობ ეკონომიას გვაძლევს.

ამჟამად ჩვენი ბრიგადა არჩევნების ღირსშესანიშნავ ვახტზე დგას და იმისათვის იბრძვის, რომ თვიური საწარმოო გეგმა 26 თებერვლისათვის გაანაღდოს.

**დ. ძაბანია,**
სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს უფროსი მვალცავი, ბრიგადირი.

# სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

იმასთან დაკავშირებით, რომ 25 თებერვალს ლონდონში მუშაობას იწყებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტი, საბჭოთა მთავრობამ სსრ კავშირის წარმომადგენლად ამ ქვეკომიტეტში დანიშნა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. ა. გრომიკო. სსრ კავშირის წარმომადგენლის მოადგილედ აღნიშნულ ქვეკომიტეტში დანიშნულია სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში ი. ა. მალიკი.

# გამომცემლობებისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირზე

18 თებერვალს გამომცემლობებისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირზე მუშაობდნენ სექციები.

ახალ პოლიგრაფიულ საწარმოთა მშენებლობისა და არსებულ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და მათი ტექნიკური აღჭურვის სექციის სხდომაზე ბევრი ორატორი ლაპარაკობდა საწარმოთა ტიპური დაპროექტების სერიოზულ ნაკლოვანებებზე. კერძოდ, აღინიშნა, რომ ეს დაპროექტება ხშირად წარმოებს ამა თუ იმ რაიონის გეოგრაფიულ და სხვა თავისებურებათა გაუთვალისწინებლად. აგრეთვე აღინიშნა, რომ პოლიგრაფისტებს შესაძლებლობა აქვთ გაადიდონ სხვადასხვა ნაწარმის გამოშვება არსებული მოწყობილობისა და საწარმოო ფართობების უფრო რაციონალური გამოყენებით.

იმის შესახებ, რომ საჭიროა მოწესრიგდეს პოლიგრაფიულ საწარმოთა მომარაგება სხვადასხვა მასალით, ილაპარაკეს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სექციის სხდომაზე. მკვეთრად გააკრიტიკეს ქაღალდისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ქაღალდის გასაღების მთავარი სამმართველოს მუშაობა.

სხვა სექციებში განიხილავდნენ გამომცემლობებში სარედაქციო მუშაობის ორგანიზაციის, წიგნის გამოცემის დაგეგმვისა და მხატვრული გაფორმების, მოწინავე ტექნოლოგიური პროცესების დანერგვისა და მოქმედი პოლიგრაფიული მოწყობილობის ექსპლოატაციის გაუმჯობესების საკითხებს. (საკდესი).

# რუსეთის პირველი რევოლუციის გამოძახილი საქართველოში

სრულდება 50 წელი რუსეთის პირველი რევოლუციიდან, რომელმაც არა მარტო რუსეთში შეარყია ცარიზმი და კაპიტალიზმი, არამედ მსოფლიო იმპერიალიზმსაც აგრძნობინა მოახლოებული საფრთხე.

XX საუკუნის დამდეგს მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა რუსეთში გადმოინაცვლა. რუსეთი გახდა იმპერიალიზმის ყველა წინააღმდეგობის საკვანძო პუნქტი. აქ გამეფებული იყო სამხედრო-ფეოდალური და კოლონიურ-კაპიტალისტური ჩაგვრა. ცარიზმის, მემამულეებისა და ბურჟუაზიის მიერ ხალხთა დამონებას ემატებოდა რუსეთის იმპერიალისტური ძარცვა დასავლეთელი მონოპოლისტი კაპიტალისტების მიერ. მაგრამ ამავე დროს რუსეთში იზრდებოდა რეალური ძალა, მოწოდებული იმისათვის, რომ რევოლუციური გზით გადაეჭრა ყველა ეს წინააღმდეგობა. ეს იყო რუსეთის პროლეტარიატი.

კაპიტალისტური ექსპლოატაცია, კატორღული შრომა, მთელი ხალხის უუფლებობა — ასეთი იყო ქვეყნის მაშინდელი ვითარება. რუსი მოწინავე მუშები მივიდნენ იმ შეგნებამდე, რომ სათავეში ჩასდგომოდნენ ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დასაწყისს წარმოადგენს სისხლიანი კვირა, რომელმაც ფეხზე დააყენა არა მარტო პეტერბურგის, არამედ მთელი რუსეთის იმპერიის მშრომელი მოსახლეობა. „პეტერბურგის გმირი პროლეტარიატის ლოზუნგი: — „სიკვდილი ან თავისუფლება!", — სწერდა 1905 წლის იანვრის ამბების გამო ვ. ი. ლენინი, — ახლა მთელ რუსეთს ედება. მოვლენები განსაცვიფრებელი სისწრაფით ვითარდება" (თხზ., ტ. 8. გვ. 101). 9 იანვრის ამბებმა აღშფოთება გამოიწვია საქართველოს პროლეტარებსა და გლეხებს შორის. საქართველოს მუშები რუსეთის მუშათა კლასის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდნენ. ამიტომ რევოლუციური მოძრაობა საქართველოში ვითარდებოდა სრულიად რუსეთის მოძრაობასთან განუყრელ ერთიანობაში. 90-იან წლებში საქართველოში ყალიბდება რევოლუციური ორგანიზაციები, რომლებიც ი. ბ. სტალინის მეთაურობით სათავეში უდგებიან მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციურ ბრძოლებს ცარიზმის წინააღმდეგ.

საქართველო მეფის რუსეთის კოლონიას წარმოადგენდა. აქ მეფობდა თვითმპყრობელურ-ფეოდალური და ეროვნული ჩაგვრა. კაპიტალისტურ საწარმოებში მუშები ულმობელ ექსპლოატაციას განიცდიდნენ. მცირე ხელფასი, ხანგრძლივი სამუშაო დრო, აბუჩად აგდება, მექარხნეებისა და საქარხნო-საფაბრიკო ინსპექციის თავგასულობა, ცუდი საბინაო პირობები და პოლიტიკური უუფლებობა — ყოველივე ეს საქართველოს პროლეტარებს ბუნებრივად აკავშირებდა რუსეთის პროლეტარიატთან მათი საერთო მტრის ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ისევე, როგორც რუსეთის გლეხობა, ქართველი გლეხებიც ბატონყმურ და კაპიტალისტურ ჩაგვრას განიცდიდნენ. ამრიგად, რუს და ქართველ ხალხთა მეგობრობა ვითარდებოდა საერთო მტრებთან გამძაფრებულ ბრძოლებში. „ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა — აღნიშნავდა გაზეთი „ბრძოლა" 1901 წელს, — არ წარმოადგენს კერძო, მარტო ქართველ მუშათა მოძრაობას საკუთარი პროგრამით. ის ხელიხელგადახვეულია მთელი რუსეთის მოძრაობასთან და, მაშასადამე, ექვემდებარება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას".

რევოლუციურ მოძრაობას საქართველოში რსდმ პარტიის კავკასიის კავშირის კომიტეტი ხელმძღვანელობდა. პროლეტარიატის ზეგავლენით და ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ძლიერდება გლეხთა მოძრაობა გურიის, სამეგრელოს, იმერეთის, ქართლისა და კახეთის სოფლებში. გლეხები ბოიკოტს უცხადებენ მემამულეებს, სასულიერო პირებს, აღარ ემორჩილებიან მთავრობის წარმომადგენლებს, მოითხოვენ მიწის „ჩამონაჭრების" დაბრუნებას, წოდებრივი პრივილეგიების გაუქმებას, მეფის მთავრობის დამხობას და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას.

რევოლუციური აღმავლობის დასაწყისში 1905 წლის 9 იანვრის ამბებმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა მთელ საქართველოში. 12 იანვრიდან ბათუმის ყველა საწარმოს მუშებმა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა გამოაცხადეს. 18 იანვარს გამოცხადდა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვები მთელს ამიერკავკასიაში. 20 იანვარს გაიფიცნენ ფოთის ნავსადგურის მუშები და მოსამსახურეები. 21-22 იანვარს მოეწყო რკინიგზის მუშამოსამსახურეთა გაფიცვები თბილისის, ბათუმის, სამტრედიის, აბაშის და სხვა სადგურებში. 25 იანვარს გაიფიცნენ ჭიათურისა და ტყიბულის მაღაროს მუშები. კავკასიის კავშირის კომიტეტი, რომელსაც ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობდა, თავის პროკლამაციებსა და მოწოდებებში კავკასიის მუშებსა და გლეხებს მიუთითებდა ლენინის მიერ ნაჩვენები გზით დარაზმულიყვნენ ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ვ. ი. ლენინის დიდი დამსახურება ის იყო, რომ მან რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის განვითარების პერიოდში გენიალურად დაასაბუთა პარტიის ბოლშევიკური ტაქტიკა, შეიმუშავა კომუნისტური პარტიის პოლიტიკური საფუძვლები, განავითარა იდეა პროლეტარიატის ჰეგემონიისა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში და დაამტკიცა, რომ გამარჯვების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა პროლეტარიატისა და გლეხობის მტკიცე კავშირი პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლის შენარჩუნებით.

საქართველოში ლენინის იდეების დამცველი და ბოლშევიკური პარტიის რევოლუციური ტაქტიკის გამტარებელი იყო ი. ბ. სტალინი. კავკასიის კავშირის და იმერეთ-სამეგრელოს ბოლშევიკური კომიტეტების ხელმძღვანელობით 1905 წლის იანვრიდან გამოსვლები მოაწყეს გურიის, იმერეთის, სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმის და ქართლ-კახეთის გლეხებმა. უკუგდებულ იქნა ბრძოლის ტერორისტული მეთოდები და მემამულეთათვის ბოიკოტის გამოცხადების ტაქტიკა. გლეხები შეიარაღებული აჯანყების გზას დაადგნენ. სოფლად ყალიბდებოდა გლეხთა რევოლუციური კომიტეტები, რევოლუციური რაზმები, იარაღის შემკეთებელი სახელოსნოები და სხვ.

რუსეთში დაწყებულ რევოლუციაში აქტიური მონაწილეობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1905 წლის იანვარში კავკასიის კავშირის კომიტეტის მიერ გამოცემულ პროკლამაციას, რომელშიც ნათქვამი იყო: „რუსეთის რევოლუცია გარდუვალია... ამ რევოლუციის მთავარი ძალაა ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატი, ხოლო მისი მედროშე — სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია... პარტია, რომელმაც თვალი აგვიხილა და მტრები დაგვანახვა..." (ი. სტალინი. თხზ., ტ. 1, გვ. 77-78).

მუშათა და გლეხთა მასობრივი პოლიტიკური გამოსვლები გრძელდებოდა 1905 წლის გაზაფხულზე. მარტში საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა გამოაცხადეს თბილისისა და ბათუმის საწარმოთა მუშებმა, სოფელ ხარაგოულში შეიქმნა ხუთი ათასი კაცისაგან შემდგარი გლეხთა რაზმი. გლეხთა მასობრივი აჯანყებები მოეწყო აჭარის, აფხაზეთის, ქართლისა და კახეთის მთელ რიგ მაზრებში.

რევოლუციური მოძრაობის ლენინური ტაქტიკით წარმართვისათვის როგორც საერთოდ, ისე საქართველოში, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რსდმპ III ყრილობის გადაწყვეტილებას. ყრილობის რეზოლუციაში ნათქვამი იყო: მიღებულ იქნას უაღრესად ენერგიული ზომები პროლეტარიატის შესაიარაღებლად, აჯანყების გეგმის შესამუშავებლად და აჯანყებისათვის უშუალო ხელმძღვანელობის გასაწევად, რისთვისაც საჭიროების მიხედვით შეიქმნას პარტიული მუშაკებისაგან საგანგებო ჯგუფები. ყრილობამ მიიღო სპეციალური გადაწყვეტილება კავკასიის გმირი მუშებისა და რევოლუციური გლეხობისათვის დახმარების გასაწევად. „...თვითმპყრობელური მთავრობა, — ნათქვამია III ყრილობის რეზოლუციაში, — უკვე გზავნის ჯარებსა და არტილერიას გურიაში და ამზადებს აჯანყების ყველა უმნიშვნელოვანესი კერის უაღრესად დაუნდობელ განადგურებას".

პარტიის III ყრილობის გადაწყვეტილებანი საფუძვლად დაედო საქართველოში ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობას. ვერც მეფის მთავრობის რეპრესიებმა და ადმინისტრაციულმა ღონისძიებებმა, ვერც მენშევიკებისა და ლიბერალური ბურჟუაზიის მანევრებმა ვერ შეანელა რევოლუციური აღმავლობა, რომელიც განსაკუთრებული ძალით განვითარდა 1905 წლის მეორე ნახევარში. ი. ბ. სტალინი მტკიცედ იცავდა ლენინურ ტაქტიკას მიმდინარე რევოლუციაში და ულმობლად ამხილებდა მენშევიკების გამცემლურ, ბურჟუაზიასთან და ცარიზმთან შემარიგებლურ, რეფორმისტულ ტაქტიკას.

ვ. ი. ლენინის მითითებათა საფუძველზე კავკასიელი ბოლშევიკები ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით იმუშავებენ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების ყველა მაზრაში აჯანყების გეგმებს, აყალიბებენ წითელ რაზმებს ქალაქად და სოფლად. წარმოებს გამალებული მზადება საბარიკადო ბრძოლებისათვის თბილისში, ბათუმში, ჭიათურაში, ქუთაისში და სხვა ადგილებში.

1905 წლის ნოემბრის დამლევს ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით მოწვეულ იქნა რსდმპ კავკასიის კავშირის IV ბოლშევიკური კონფერენცია. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ. დეკემბერში მთელ საქართველოში დაიწყო შეიარაღებული გამოსვლები. ბარიკადებით დაიფარა თბილისის ქუჩები, მუშებს ხელჩართულ ბრძოლებში დიდ დახმარებას უწევდნენ მეფის ჯარის რევოლუციურად განწყობილი ნაწილები.

იმერეთ-სამეგრელოს ბოლშევიკური კომიტეტის ხელმძღვანელობით დეკემბერში აჯანყებები დაიწყო ქუთაისის, ოზურგეთის, შორაპნის, სენაკის და ზუგდიდის მაზრებში. აჯანყებული მუშები და გლეხები ბოლშევიკური კომიტეტების ხელმძღვანელობით სპობდნენ მეფის მოხელეებს, მემამულეებს და მოითხოვდნენ საყოველთაო-სახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევას ხალხის ფართო მასების მონაწილეობით.

მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვში დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება დამარცხდა, რუსეთის პროლეტარიატი და გლეხობა ბრძოლას 1906-1907 წლებშიც განაგრძობდნენ. შეიარაღებული აჯანყებები და გაფიცვები გრძელდებოდა საქართველოშიც.

მეფის მთავრობამ მოახერხა რუსეთის პირველი რევოლუციის დროებით დამარცხება, მან ისარგებლა ბურჟუაზიასთან მორიგებით და რსდმ პარტიაში მენშევიკების გამცემლური ტაქტიკით, მუშათა კლასისა და გლეხობის ჯერ კიდევ არასაკმაო კავშირით და რევოლუცია სისხლში ჩაახშო. მიუხედავად ამისა, რუსეთის პირველ რევოლუციას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ის მთელ ისტორიულ ხანას წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნის განვითარებაში.

რევოლუციამ ხალხის მასებს დაანახვა, რომ მხოლოდ ბოლშევიკების პარტია არის მათი პოლიტიკური ბელადი, ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა ცარიზმსა და კაპიტალიზმზე გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

რუსეთის პირველ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში ქართველი მუშები და გლეხები უფრო ღრმად დარწმუნდნენ, რომ რუსი მუშები იყვნენ მოთავენი მემამულურ-ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომ ისინი რაზმავდნენ ეროვნული, განაპირა მხარეების პროლეტარიატს და ყველა მშრომელთ სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის საბრძოლველად.

რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავს საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ახალი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში აღნიშნავენ.

საქართველო დღეს აყვავებულ სოციალისტურ რესპუბლიკას წარმოადგენს და სსრ კავშირის მრავალეროვან ოჯახში მას ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით სსრ კავშირის მრავალმილიონიან მშრომელთა შემჭიდროებულ რიგებში საქართველოს რესპუბლიკის ხალხები მტკიცე ნაბიჯით მიდიან წინ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

დოცენტი **შ. კალანდარიშვილი.**

ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

# უცნაური „შეთავსება“

ვაჭრობის სხვადასხვა ხერხს იყენებენ სპეკულანტები. მაგალითად, როცა მაღაზიაში შედიხართ და რაიმეს ათვალიერებთ, სპეკულანტი ძმაკაცივით ამოგიდგება გვერდით და წაგჩურჩულებს: — საკოსტიუმე გნებავთ? მომყევით! სპეკულანტთა ცხოვრებაში ფართო გაქანება ჰპოვა ვაჭრობის ასეთმა ხერხმაც: სპეკულანტს სხვადასხვა გასაყიდი საქონელი პალტოს ქვეშ აქვს დამალული, იგი მოძრავ ვიტრინას მოგაგონებთ. გაგვიგონია აგრეთვე სპეკულაცია ავტომანქანაში და სხვა...

სპეკულაციის ყველა ეს ხერხი ცნობილია. თუმცა ზოგი მათგანი ისტორიას ჩაბარდა, ზოგიც — მილიციის არქივს. მაგრამ, მიუხედავად საზოგადოებრივი ზიზღისა და დევნისა, სპეკულანტები მაინც განაგრძობენ ვაჭრობის უფრო შენიღბული ხერხების ძიებას.

სპეკულანტი ეკატერინე თევდორეს ასული გეორქიანიც ბევრს ფიქრობდა, რათა სპეკულაციის ახალი ხერხი გამოეგონა. რით დატოვა მან თავისი კვალი სპეკულაციის ისტორიაში? ვილაპარაკოთ ფაქტები.

მომხმარებელი მ. ჯანაშვილი შედის „თბილხილბოსტანვაჭრობის“ № 8 მაღაზიაში. არ გეგონოთ, რომ მას სურდეს იყიდოს კარტოფილი, ჭარხალი, მწვანილი ან სხვა ბოსტნეული. მას სურს შეიძინოს ქალის უნაკერო წინდა. მკითხველი იფიქრებს, წინდას რა უნდა „თბილხილბოსტანვაჭრობის“ მაღაზიაშიო. მაგრამ მივყვეთ მოვლენათა მსვლელობას.

ჯანაშვილი უახლოვდება მაღაზიის მთავარი ბუღალტრის ე. გეორქიანის სამუშაო მაგიდას, საბუღალტრო ყუთში ხედავს უნაკერო წინდას, იღებს მას და უსიტყვოდ ტოვებს 40 მანეთს. აქ ვერ მოისმენთ სპეკულაციისათვის დამახასიათებელ დიალოგს:

— ნაკლებ არ მომცემ?

— რას მევაჭრები, თუ გსურს წაიღე, თუ არა და მუშტარი სხვაც ბევრია!

— კარგი, კარგი, მომეცი, რაღას ბრაზობ!

— ალალი იყოს, შენზეა გამოჭრილი!

მოისმენთ მხოლოდ საანგარიშოს ჩხაკუნს. საანგარიშოზე მთავარი ბუღალტერი 22 მანეთს ჩადის. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთ წყვილ წინდაში, რომელიც 18 მანეთი ღირს, დარჩა 22 მანეთი წმინდა მოგება. და ეს მეორდება ამ მარტივი ოპერაციის ყოველი ახალი შესრულების დროს — წინდის აღებისა და 40 მანეთის დატოვების დროს.

მკითხველი ადვილად მიხვდება ე. გეორქიანის „ნოვატორობის“ აზრს. საქმე ის არის, რომ მან მიაღწია დროის დიდ ეკონომიას. ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს — ვაშლი რომ მაღლა შეაგდო, მის ჩამოვარდნამდისაც დრო გაივლისო. მით უმეტეს ძვირფასი დრო ბევრი იკარგება შევაჭრებაზე, საქონლის დაფასებასა თუ ჩამოკლებაზე... მთავარი ბუღალტერი კი არც ერთ წუთს არ კარგავს, დამშვიდებით განაგრძობს თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას, რომელსაც ოსტატურად „უთავსებს“ სპეკულაციას. შემოჩვეულმა მუშტრებმა წინასწარ იციან, გეორქიანის მიერ დაწესებული პრეისკურანტით რა ღირს წინდა და რა წესით უნდა შეიძინონ იგი. ამ წესით შეიძინა 3 წყვილი წინდა მოქალაქე ე. ხუხუნაშვილმა.

პირველ ხანებში, როცა ე. გეორქიანი გამოუცდელი იყო, იგი სპეკულაციას „პრიმიტიული“ ხერხით აწარმოებდა — მომხმარებელს სახლში იბარებდა და იძულებული იყო დათმობაზე წასულიყო, 18-მანეთიანი წინდა 25 მანეთად გაეყიდა. ცნობილია, რომ სუსტნერვებიან სპეკულანტზე და მით უმეტეს ქალზე უარყოფითად მოქმედებს ნაცნობ მუშტრებთან შევაჭრება. აქ ზოგჯერ სპეკულანტს ნებისყოფა არ ყოფნის და სცოდავს თავისი პრეისკურანტის წინაშე. სწორედ ეს გახლდათ მიზეზი, რომ სპეკულანტური „მოღვაწეობის“ პირველ პერიოდში გეორქიანმა წინდა 25 მანეთად მიჰყიდა ნაცნობებს: ლ. კალმახიძეს, ლ. ცომაიას, ქ. ჩერნოვას, ფ. შეიკმანს, ვ. იანკოვსკაიას და სხვებს და თითო წყვილ წინდაში მხოლოდ 7 მანეთი მოიგო.

როცა გეორქიანი წინდების ახალი პარტიის ჩამოსატანად ლენინგრადში მიდიოდა, ეს აზრი აეკვიატა: რატომ უნდა მოიგოს თვითეულ წყვილში მხოლოდ 7 მანეთი, რატომ უნდა წავიდეს დათმობის გზაზე?

როგორც კი ახალი საქონელი ჩამოიტანა, გეორქიანმა მაშინვე დაგმო სპეკულაციის ძველი მეთოდი და ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული ხერხის გამოყენებით, უცნაური „შეთავსებით“, როგორც ბუღალტერ-სპეკულანტმა დიდ წარმატებასაც (იგულისხმება მოგება) მიაღწია.

როგორც ჩანს, ჯერჯერობით ე. გეორქიანს ეკუთვნის „პრიორიტეტი“ სპეკულაციის ახალი ხერხის გამოგონებაში, რასაც, ვფიქრობთ, უყურადღებოდ არ დატოვებენ სათანადო ორგანოები.

**ს. არღუნელი,**
**ო. კოღუაშვილი.**

## „კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

# „წვიმიან ამინდში“

ამ სათაურით „კომუნისტის“ გასული წლის 19 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელიც ეხებოდა თბილისში წყალსაწრეტი მილებისა და ილუმინატორების უვარგისობას.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველო გვატყობინებს, რომ წერილში მხილებული ნაკლოვანებანი შემოწმებით დადასტურდა. ქალაქის საბინაო სამმართველოს საწარმოო კომბინატს დავალებული აქვს 1955 წელს საკმაო რაოდენობით გამოუშვას წყალსაწრეტი მილები, აგრეთვე წესრიგზე მოიყვანოს კომუნალური სახლების ტერიტორიაზე არსებული ილუმინატორები.

# სიმფონიური და კამერული მუსიკის კონცერტები



გაცხოველებით მიმდინარეობს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში სიმფონიური და კამერული მუსიკის კონცერტების სეზონი. თებერვლის პირველი ნახევარი აღინიშნა მთელი რიგი საინტერესო კონცერტებით, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ძალებმა, ახალგაზრდა მუსიკოსებმა.

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის ყოფილი სტუდენტი რუსუდან ხოჯავა ამჟამად წარჩინებით სწავლობს მოსკოვის პ. ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიის საფორტეპიანო ფაკულტეტის მეხუთე კურსზე (პროფესორ ა. გოლდენვეიზერის კლასი). ამას წინათ რ. ხოჯავამ გამართა კონცერტი თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, რომელსაც დირიჟორობდა ჯ. გოკიელი.

თბილისის საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით შეხვდა საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტს, რომელსაც დირიჟორობდა სტალინური პრემიის ლაურეატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე შ. აზმაიფარაშვილი და რომელშიც მონაწილეობდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი გ. ნეიგაუზი (ფორტეპიანო). მან შეასრულა ბეთჰოვენის „კონცერტი № 5“ ფორტეპიანოსათვის ორკესტრთან ერთად. გარდა ამისა, რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა გ. ნეიგაუზის დამოუკიდებელი კონცერტი, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა. პროგრამაში იყო ბახის, ბეთჰოვენის, ბრამსის, შოპენის, სკრიაბინის, დებიუსის ნაწარმოებები.

რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა საკავშირო და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის პიანისტ ვ. მერჟანოვის კონცერტი მრავალფეროვანი პროგრამით, რომელშიც შედიოდა ბახის „სამი სახორალო პრელუდი“, შოპენის „12 პრელუდი“, მუსორგსკის „სურათები გამოფენიდან“, სკრიაბინის „სონატა № 5“.

მუსიკის მრავალი მოყვარული მიიზიდა საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტმა, რომელსაც დირიჟორობდა ზ. ხუროძე. პროგრამაში იყო ჩაიკოვსკის „მეხუთე სიმფონია“ და რიმსკი-კორსაკოვის „ესპანური კაპრიჩიო“. ამ კონცერტზე პიანისტმა ვ. მერჟანოვმა წარმატებით შეასრულა ა. ბაბაჯანიანის „ჰეროიკული ბალადა“ ფორტეპიანოსათვის ორკესტრთან ერთად.

საინტერესო იყო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდა პიანისტებმა, მოსკოვის კონსერვატორიის სტუდენტებმა ა. ნიჟარაძემ (პროფესორ გ. ნეიგაუზის კლასი) და ი. ბახტაძემ (პროფესორ ა. იოხელესის კლასი) და საქართველოს სიმფონიურმა ორკესტრმა ვ. ფალიაშვილის დირიჟორობით.

დასასრულ უნდა აღინიშნოს საერთაშორისო კონკურსის ლაურეატის მევიოლინე მარინე იაშვილის ორი კონცერტი. როგორც დამოუკიდებელ კონცერტზე, ისე საქართველოს სიმფონიურ ორკესტრთან (დირიჟორი ჯ. გოკიელი) ერთად, რომელთა პროგრამაში იყო ბევრი რთული ნაწარმოები, გამოვლინდა ნიჭიერი და ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებლის შემოქმედებითი ზრდა.

ამ დღეებში გაიმართება მუსიკოს-შემსრულებელთა საკავშირო კონკურსის ლაურეატის მარიამ გრინბერგის (ფორტეპიანო) კონცერტები.

**ვ. აბესაძე.**

* * *

სურათზე: საქართველოს სიმფონიური ორკესტრის კონცერტი. დირიჟორი ჯ. გოკიელი, სოლისტი მ. იაშვილი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

# კულტურის ახალი კერები

რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებს ყოველწლიურად ემატება კულტურის ახალი კერები — კინოთეატრები, კულტურის სახლები, კლუბები და სხვ.

გასულ წელს თბილისში, ლენინის რაიონში დაიწყო ახალი კინოთეატრის მშენებლობა. ახალ კინოთეატრს ექნება მაყურებელთა ორი დარბაზი 600 ადგილით. ასეთივე ტიპის კინოთეატრების მშენებლობა მიმდინარეობს ქუთაისსა და სოხუმში. გაგრაში დაწყებულია დიდი კინოთეატრის მშენებლობა, რომელსაც ექნება ორი დარბაზი. აქვე მოეწყობა საზაფხულო კინოთეატრიც. სამივე დარბაზი გათვალისწინებულია 800 მაყურებლისათვის. ახალი კინოთეატრი შენდება თელავში. მიმდინარეობს ქობულეთის კინოთეატრისა და თბილისის საზაფხულო კინოთეატრ „ამირანის“ რეკონსტრუქცია.

დიდი მასშტაბით წარმოებს რესპუბლიკაში კულტურის სახლების მშენებლობა. დაწყებულია კულტურის სახლების მშენებლობა ოჩამჩირეში, ჯავაში, ზნაურში, ქარელში, ბოგდანოვკაში, დუშეთში.

გასულ წელს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხაზით კულტურული დაწესებულებების მშენებლობაზე დაიხარჯა 10.700 ათასი მანეთი.

# ხალხთა ბრძოლა კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ

21 თებერვალს პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავს კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს. ეს დღე 1948 წლიდან აღინიშნება მთელი რიგი დემოკრატიული ორგანიზაციების ინიციატივით. მისი მიზანია მსოფლიოს დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე ძალების დარაზმვა კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის მხარდასაჭერად. ყოველ წელიწადს აწყობს რა კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის დღეს, პროგრესული საზოგადოებრიობა აღნიშნავს კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებებს, რის შედეგადაც ამ ქვეყნებში დიდი ცვლილებები ხდება. განსაკუთრებით დიდია ეს ცვლილებანი აზიის ქვეყნებში.

დღევანდელი აზია ომამდელს არა ჰგავს, იქ ჭეშმარიტად უდიდესი ცვლილებები მოხდა.

აზიის მოსახლეობა დაახლოებით 1 მილიარდ 400 მილიონს აღწევს. ომამდე ადამიანთა მთელი ეს უზარმაზარი მასა კოლონიური და ნახევრადკოლონიური მონობის ბორკილში გმინავდა. ახლა კი 600 მილიონმა კაცმა, ესე იგი კონტინენტის მოსახლეობის ნახევარზე ცოტა ნაკლებმა, სამუდამოდ გაწყვიტა კავშირი კაპიტალიზმთან და თავდადებული რევოლუციური ბრძოლის შედეგად დაადგა სოციალიზმის მშენებლობის გზას. 1946 წელს შეიქმნა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა, 1948 წელს — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა და 1949 წელს — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. ეს ისეთი ამბებია, რომლებიც, როგორც ვ. მ. მოლოტოვმა აღნიშნა თავის მოხსენებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უკანასკნელ სესიაზე, მოწმობენ, რომ აზიაში ომისშემდგომ პერიოდში უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მქონე რევოლუციური გარდაქმნები მოხდა.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნას. ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ჩინეთი სუსტი ნახევრადკოლონიური ქვეყანა, იმპერიალისტურ სახელმწიფოებზე დამოკიდებული ქვეყანა იყო და არა ჰქონდა საშუალება უზრუნველეყო თავისი სახელმწიფო ტერიტორიის ერთიანობა. დღეს კი ჩინეთი ერთიან მძლავრ სახელმწიფოდ გაერთიანდა, მოიშორა უცხოეთისაგან დამოკიდებულების უღელი და დაადგა თავისი ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის სწრაფი აღმავლობის გზას. სახალხო ჩინეთი აზიაში მშვიდობისა და პროგრესის აღიარებული მედროშე გახდა.

დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ახასიათებს აზიაში შექმნილ ახალ ვითარებას, არის კოლონიური რეჟიმისაგან ისეთი სახელმწიფოების განთავისუფლება, როგორიც არიან ინდოეთი, ინდონეზია და ბირმა. გამოვიდნენ რა დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე, ეს სახელმწიფოები მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას ახორციელებენ. ინდოეთმა და ბირმამ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ერთად გამოაცხადეს სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი თანამშრომლობის ხუთი პრინციპი, ხოლო ინდონეზიამ მხარი დაუჭირა ამ პრინციპებს. ჩაიფუშა ვერაგული ზრახვები იმპერიალისტებისა, რომლებსაც სურდათ ინდოეთი დაეპირისპირებინათ სახალხო ჩინეთისა და აზიის სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებისათვის.

მიმდინარე წლის აპრილში ბანდუნგში (ინდონეზია) გაიმართება აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს აფრიკისა და აზიის ოცდაათამდე ქვეყანამ. ეს ფაქტი ნათლად მოწმობს, თუ რა ახალ როლს ასრულებენ ახლა აზიის სახელმწიფოები საერთაშორისო პოლიტიკაში.

კოლონიურ სახელმწიფოთა პოზიციები ჯერ კიდევ ძლიერია აფრიკის კონტინენტზე. აქ კოლონიზატორები ჯერჯერობით დაუსჯელად მოქმედებენ და სასტიკად უსწორდებიან იმ ხალხებს, რომლებიც ირაზმებიან თავიანთი ეროვნული განთავისუფლებისათვის საბრძოლველად. მაგრამ ეჭვი არ არის, რომ კოლონიური რეჟიმი აქაც განიცდის მზარდ კრიზისს. ამას მკაფიოდ მოწმობს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი გაქანება ტუნისში, მაროკოში, ალჟირში.

მეტად მძიმე პირობებში ვითარდება ბრძოლა სამხრეთ ამერიკის ხალხების ეროვნული დამოუკიდებლობისა და პროგრესისათვის, ხალხებისა, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიები უწევენ ექსპლოატაციას. რომელიმე ამ ხალხის სულ მცირე ცდას — შეიმსუბუქოს უცხოელ მონოპოლიათა უღელი ჩრდილოეთ ამერიკის იმპერიალისტები მთელი სისასტიკით ახშობენ. საკმარისია ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ შარშან გვატემალაში მომხდარი ამბები. მაგრამ ამერიკის მონოპოლიათა „რკინის ქუსლი“ ყოველად ძლიერი როდია. თუმცა ამერიკის კონტინენტზე ომისშემდგომ პერიოდში მომხდარი ცვლილებანი, ვ. მ. მოლოტოვის განმარტებით, „ჯერჯერობით ყველაზე ნაკლებად შესამჩნევია“, მაგრამ იქაც ყოველდღე სულ უფრო იჩენს თავს იმ მზარდ პროგრესულ მიმდინარეობათა მნიშვნელობა, რომლებიც ხალხთა ცხოვრების სიღრმეში თანდათანობით იზრდება.

ომისშემდგომ პერიოდში მოვლენათა განვითარება ცხადყოფს, რომ იმპერიალიზმი იძულებული გახდა უკან დაეხია ხალხთა მასების შეტევის გამო, რომელნიც ეწევიან ბრძოლას თავიანთი ეროვნული განთავისუფლებისათვის. მაგრამ იმპერიალისტური ქვეყნების გაბატონებულ კლასებს არა სურთ შეურიგდნენ შექმნილ მდგომარეობას. უწინარეს ყოვლისა ეს ეხება შეერთებული შტატების მილიონერებსა და მილიარდერებს, აგრეთვე ინგლისის მმართველ წრეებს. ისინი ცდილობენ აღადგინონ თავიანთი ბატონობა იმ ხალხებზე, რომლებიც მისგან განთავისუფლდნენ, და ამ მისწრაფებას საფუძვლად უდევს აგრესიული საგარეო პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებენ ახლა აზიაში, აგრეთვე მსოფლიოს სხვა რაიონებში ამერიკის შეერთებული შტატები.

ჟენევის თათბირს, როგორც ცნობილია, მოჰყვა მშვიდობის აღდგენა ვიეტნამში, მაგრამ ამავე დროს თათბირმა ვერ წასწია წინ კორეის საკითხის გადაჭრა. ამისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ უმთავრესად შეერთებულ შტატებს, რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ხელი შეუშალონ იმას, რომ კორეის პრობლემა მშვიდობიანად გადაიჭრას დემოკრატიულ საფუძველზე. ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები ცდილობდნენ აგრეთვე ხელი შეეშალათ ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის შესახებ შეთანხმების მიღწევისათვის. მიუხედავად ამისა, ჟენევის თათბირზე გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სამშვიდობო პოლიტიკამ. დალესი აშკარად დაამწუხრა ჟენევის თათბირის ასეთმა შედეგმა. მან ამერიკის პოლიტიკის „მარცხი“ უწოდა ინდოჩინეთში დაზავებას.

ამ „მარცხმა“ ვერაფერი ვერ ასწავლა ამერიკელ მოღვაწეებს. 1954 წლის სექტემბერში დალესმა საკუთარი კონფერენცია მოიწვია მანილაში (ფილიპინები), სადაც ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ვგრეთწოდებული „სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის თავდაცვის“ შესახებ („სეატო“). „სეატო“ არის კოლონიური სახელმწიფოების — ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო ბლოკი, რომელშიც მონაწილეობს აზიის მათზე დამოკიდებული ზოგიერთი სახელმწიფო — ფილიპინები, ტაილანდი და პაკისტანი. ეს ბლოკი ისწრაფვის ჩაახშოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აზიაში და თავისი მახვილი მიმართული აქვს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ.

შექმნეს რა „სეატო“, შეერთებული შტატები მოითხოვენ, რომ ამ ბლოკის მონაწილეებმა რაც შეიძლება მალე შეასრულონ მათი სამხედრო ვალდებულებანი. 1955 წლის 23 თებერვალს ბანგკოკში (ტაილანდი) გაიხსნება „სეატოს“ მონაწილეთა თათბირი, რომელიც მოწვეულია ვაშინგტონის ინიციატივით და ძლიერი ზეგავლენით. როგორც უცხოეთის პრესის ცნობებიდან ჩანს, თათბირის მთავარი ამოცანა იქნება განიხილოს დალესის წინადადება აზიაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად შეიარაღებული ძალების შექმნის შესახებ.

ამერიკელი იმპერიალისტების მხეცურ სიძულვილს აზიის ხალხებისადმი, რომლებიც თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გზას დაადგნენ, განსაკუთრებით ააშკარავებს შეერთებული შტატების სამარცხვინო მოქმედება ტაივანის საკითხში. ყოველმა მოსწავლემ იცის, რომ ტაივანი და მის ახლო მდებარე კუნძულები ჩინეთის ძველისძველი ტერიტორიებია. მიუხედავად ამისა, ამერიკის შეიარაღებულმა ძალებმა ჩანკაიშელთა მოღალატური ხროვის ხელშეწყობით დაიპყრეს ტაივანი და ჩინეთის სხვა კუნძულები და ისე უჭირავთ იქ თავი, როგორც საკუთარ სახლში. ტაივანი და ჩინეთის სხვა კუნძულები ამერიკელ მილიტარისტებს სჭირდებათ სამხედრო ბაზების შესაქმნელად, რათა ამ ბაზებზე დაყრდნობით განახორციელონ აზიის კონტინენტზე გაბატონების პოლიტიკა.

ეჭვი არ არის, რომ აზიის ხალხები, რომლებმაც იგემეს თავისუფლება და დამოუკიდებელი ცხოვრება, არ დაუშვებენ ამერიკის იმპერიალიზმის დამპყრობლური გეგმების განხორციელებას. ისინი ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ გზა გადაუღობონ ომს, რომლის მიზანია ლიკვიდირებული კოლონიური რეჟიმების რესტავრაცია. აზიის ქვეყნების ფართო საზოგადოებრივი წრეები ეწევიან კამპანიას იმისათვის, რომ აზიისა და აფრიკის 30 ქვეყნის ბანდუნგის მომავალმა კონფერენციამ განახორციელოს ღონისძიებანი მთელი მშვიდობისმოყვარე და ანტიკოლონიური ძალების დასარაზმავად, რათა წინააღმდეგობა გაუწიონ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა გაერთიანებულ მოქმედებას, რომლებსაც სურთ აღადგინონ თავიანთი ბატონობა აზიის ხალხებზე.

გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ აღიარებს, რომ „აზიაში ამერიკის შეერთებული შტატები პოლიტიკურად მნიშვნელოვნად იზოლირებული არიან მილიონობით ადამიანისაგან“.

აზიაში ამერიკის პოლიტიკის გაკოტრება კოლონიზატორთა მდგომარეობის საერთო გაუარესების მაჩვენებელია. ყველა ქვეყანაში ძლიერდება ჩაგრულ ხალხთა ბრძოლა. ისინი რაზმავენ ძალებს, რათა განახორციელონ თავიანთი უფლება — თვითონ გადაწყვიტონ საკუთარი ბედი.

**ი. ბოჩკარიოვი.**

# ჩ ე მ ი პ ა პ ა

ვისაც ბავშვებთან უთამაშნია, თუნდაც შორიახლო მდგარა და უყურებია მათთვის, ადვილად შეამჩნევდა: თავს მოიყრიან თუ არა პატარები, ტრაბახს მოჰყვებიან: ერთს სახლში ლამაზი დედოფალა აქვს, მეორეს მამამ ისეთი ცხენი უყიდა, რომ... მესამე ცეროდენაა და ზღაპარი „წითელქუდა“ ზეპირად იცის. მერე არც ამას იკმარებენ და ახლა იმაში გაეჯიბრებიან ერთმანეთს, ვისი ძმა უფრო ღონიერია, ვის უკეთესი მამა ჰყავს, ვინ უფრო მეტჯერ მჯდარა მანქანაში...

კვირადღე იყო. თეატრიდან დაბრუნებულმა ნუგზარმა ეზოში ჩაირბინა. მის ტოლებს ეზოს ერთ კუთხეში მოეყარათ თავი და დღევანდელი დღის შთაბეჭდილებებით თავბრუდახვეულები ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს. ხომ უნდა ეთქვა თვითეულს, რა ნახა დღეს? ამას ტრაბახიც მოჰყვა, და ნუგზარმა, როგორც ყოველთვის, ახლაც დაიტრაბახა:

— ჩემს პაპას ნამდვილი ტრამვაი ჰყავს. ხომ მოხუცია, მაგრამ მთელ თბილისში იმაზე ადრე მაინც არავინ დგება. ახლახან პაპამ სიგელიც მიიღო?! — თქვა ნიშნისმოგებით ნუგზარმა და, თითქოს ვინმე ედავებაო, გაზეთი მოარბენინა. აქა წერია, აი აქ, რომ პაპა ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით არის დაჯილდოებული, — გაიმეორა გაზეპირებული ფრაზა ნუგზარმა. მერე ოთხად გაკეცილი გაზეთი გაშალა, პატარა თითი გაზეთის ფურცელს შუა გააყოლა. იპოვნა... ხმამაღლა ამოიკითხა: აკოფაშვილი ალექსანდრე ისაკის-ძე — ვაგონის მძღოლი. აკოფაშვილი ალექსანდრე ისაკის-ძე — გაიმეორა რამდენჯერმე და სიხარულით სავსე თვალები მესამე სართულის აივანს, სადაც მოხუცი კაცი იჯდა, მიაპყრო. — ჩემი პაპა, — ამბობდნენ ბავშვის თვალები. პაპამ გაუღიმა.

გამოსასვლელი დღე ჰქონდა ალექსანდრეს. სახლში იყო და ისვენებდა. საშინაო ხალათი გადაეცვა, ფეხები ფლოსტებში წაეყო, სკამი მოაჯირთან მიედგა და ეზოში მოთამაშე ბავშვებს გადასცქეროდა.

— ჩემს პაპას ნამდვილი ტრამვაი ჰყავს, ჩემი პაპა ყველაზე ადრე დგება, — ისმოდა ეზოდან ნუგზარის წკრიალა ხმა. ალექსანდრეს თითქოს საყვარლოს ღილმა მოუჭირა, შეიხსნა...

მაინც რა მალე გარბის წლები, გუშინდელივით მიდგას თვალწინ ნუგზარის მამა, ისიც თავის ტოლებში გარეული. ეს ბიჭიც რა მალე წამოიზარდა, ან ეს ბავშვები, ახლა არ იყო ფეხებში რომ მედებოდნენ? — ფიქრობდა ალექსანდრე.

ბავშვების ჟრიამული გაძლიერდა. მათ ხიდან ხემდე გაებათ თოკი და ხტომაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ალექსანდრემ სკამი უფრო ახლოს მიიტანა და აივნიდან გადაჰყო თავი. ყოჩაღ!.. — წამოსცდა მოხუცს. — აი ასე! — მიაძახა მეორედ და ფეხზე წამოიჭრა. მერე თითქოს შერცხვა, მიიხედმოიხედა, ხომ არავინ დამინახაო, ისევ ჩამოჯდა, ხელები თავზე შემოიდო, ეზოში მოთამაშე ბავშვებს ჩახედა, ინატრა: ნეტავი ახლა თქვენი ტოლი ვიყოო და გაეღიმა... საკუთარ თავს თუ უთხრა — მოხუცდი, ალექსანდრე? ან იქნებ ბედნიერი ბავშვების ჟრიამულმა ბავშვობაში გადატანილი უსიხარულო დღეები მოაგონა. ამ დროში გავჩენილიყავ, რა იქნებოდა, — სინანულით გაიფიქრა.

რა იყო სასიხარულო მის ბავშვობაში. ტანზე არაფერი ეცვა და ფეხზე. დადიოდა ნახევრადმშიერი, სწავლა მისთვის არ იყო და გართობა. ფული თეატრისათვის კი არა, ლუკმაპურისთვის არ კმაროდა. წამოიზარდა, და ოჯახზე ზრუნვა დაეკისრა. გათენებამდე გავიდოდა სამუშაოდ და იქ აღამებდა.

სამუშაოც არის და სამუშაოც, იტყვის ხოლმე ალექსანდრე. ჩემს ტოლებს ალბათ ახსოვთ მაშინდელი ტრამვაი, ვაგონები. კარი იმას არა ჰქონდა და კედლები. ზაფხული თუ იყო, მეეტლეები თითქოს განგებ წინ გამისწრებდნენ და რაც ქუჩაში ხრეში და მტვერი იყო, ჩემს ვაგონს აყრიდნენ. ზამთარში კი, ლხენა მოგეცა, ათოვდა და აწვიმდა საჭეში შენს ალექსანდრეს. ტუჩზე მიყინული ულვაში ლოლუასავით ჩამოეკიდებოდა, ხელები ხომ გამეთოშებოდა, უხელოდ კი აბა რა უნდა მომეხერხებინა. მაშინდელი ტრამვაი რომ დაგეძრა, ორი კაცის ძალა არ გეყოფოდა. თოთხმეტ შაურად გვამუშავებდნენ, თოთხმეტ შაურად! — ამბობს ალექსანდრე და ახლა იმას მოჰყვება, როგორ შეიცვალა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან მისი ცხოვრება...

— უფ! კაცო, არა ვცხონდი? — თქვა ერთ დილას ალექსანდრემ და ახალი ვაგონი შეათვალიერა. ახლა სულ სხვა იყო. მისთვის ყოველი მხრიდან კედელი მოეშენებინათ, სკამები ლამაზ რიგებად ჩაემწკრივებინათ, შეეღებათ. რა თბილია! ე, როგორ მოუწყვიათ, გინდა აქ მჯდარხარ და გინდა კანტორაში. ალტაცებაში მოდიოდა ალექსანდრე.

ამ დღიდან ტრამვაის პარკი წითელ ფერსავით შეუყვარდა ალექსანდრეს. იქ მისვლა მას არასოდეს დაზარებია. მით უმეტეს მაშინ, როცა მისი ვაგონი ჭუჭყიან და მტვრიან ქუჩებში კი არ მირახრახებდა, არამედ მშვენიერ ფართო მოასფალტებულ ქუჩებსა და მოედნებზე მისრიალებდა.

ალექსანდრეს მალე ოთხმოცი წელი შეუსრულდება. მოხუცს პატივი სცეს — პენსია დაუნიშნეს. ახლა მას თავისუფლად შეუძლია მოისვენოს.

უთხრეს, შენი გაზრდილი მძღოლები შეგცვლიანო. ალექსანდრეს არ უყვარს წლოვანებას რომ შეახსენებენ, და თუ ეკითხებიან, ასე უპასუხებს:

— ბიძია, წლოვანებას რას კითხულობთ, ჩემთვის ჯერ არც ჯანს უღალატნია და არც საქმეს. ასე რომ არ იყოს, პრემიებსაც არავინ მომცემდაო. თუ კაცს სახლში არაფერი გიჭირს, თავს კარგად გრძნობ, ხალისიც გაქვს. „გამომამზითვეს“, — დააყოლებს ხოლმე ალექსანდრე და სიყვარულით შეათვალიერებს სახლში ნივთებს. მაგიდა, საწოლი, სკამები ჯილდოდ აქვს მიღებული. დანარჩენი კი კეთილსინდისიერი შრომით შეუძენია.

რიჟრაჟზე, როცა ცაზე ვარსკვლავები უფრო მკაფიოდ ჩანან, მოხუცი ყმაწვილივით წამოფრინდება ლოგინიდან. მაგიდაზე მისთვის გაშლილ სუფრას მიუჯდება და მძინარე ქალის ჭაღარა თავს მზრუნველობით გადახედავს. მერე ფეხაკრეფით, ფრთხილად, არავინ გავაღვიძოო, სახლიდან „იპარება“. ასეა ყოველ დილით.

— გამარჯობა, ძია ალექსანდრე! გამარჯობა, — ესალმებიან თავაზიანად სამმართველოში დამხვდურები. ქუდს უხდიან, გზას უთმობენ.

— კარგი გამარჯვება შვილებო, — უპასუხებს მოხუცი.

„ლურჯას“ მოიკითხავს, — შეგიკაზმავთ? ადის ტრამვაის ვაგონში, გაკრიალებულ აპარატს ხელს გადაუსვამს, სახელურს გასინჯავს, ფანჯრებს ჩვარს შემოავლებს.

— წავედით, ჰა? მიმართავს კონდუქტორს. ასე იწყება შრომითი დღე.

ორმოცდაორი წელია, რაც ალექსანდრე ვაგონის მძღოლია. ახლა იგი მე-11 მარშრუტის ტრამვაის დაატარებს. ვისაც ამ ქუჩებში გაუვლია, უთუოდ იცნობს ალექსანდრეს. ხშირად ხდება ხოლმე: მგზავრი, ნაცნობი ვატმანის დანახვაზე, ხელს მაღლა ასწევს, მეორეს ყელთან მიიტანს და ემუდარება, გააჩერეო.

— აპაპა, არ შემიძლია, ეს ჩვენს ინსტრუქციაში არსად წერია, — ამბობს ალექსანდრე. ან კიდევ, ვთქვათ, ვინმე წესრიგს არღვევს, წინა ბაქანიდან ადის. „აკრძალულია, შვილო, და აბა როგორ ამოგიშვა?“ — ეტყვის მგზავრს.

მიდის ტრამვაი... ფხიზლობს ალექსანდრე, აქამდე მარცხი არ მომსვლია, არავინ დავამტვრივოო. ამასობაში ტრამვაი უამრავ ქუჩასა და მოსახვევს გაივლის. ქალაქს შემოგატარებს. როცა ალექსანდრეს გზაზე ხარაჩოებახლადჩამოხსნილი სახლი შეხვდება, თითქოს პირველად ხედავსო, თვალს არ უჯერებს, სათვალეს მოიშველიებს.

— ბიჭო! აქაც რა კარგი სახლი დაუდგამთ! ახალი ქუჩა, ახლა არ იყო, მოშიშვლებული მინდვრის მეტს აქ ვერაფერს დაინახავდი? მერე სათვალეს ჩამოიხსნის, ტრამვაის ხაზის გაყოლებით შორს გაიხედავს და თავს ეკითხება:

— ნეტავ ვიცოდე, ჩემი ნუგზარი უფრო ჩქარა იზრდება თუ ჩვენი ქალაქი!..

**გ. კასაბაშვილი.**

# ხატოიამას განცხადება საბჭოთა კავშირ-იაპონიის მოლაპარაკების გამო

შანხაი, 18 თებერვალი. (საკდესი). გაზეთ „მაინიჩის" ცნობით, იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ხატოიამამ, რომელმაც გუშინ კიოტოში წარმოთქვა სიტყვა, საბჭოთა მთავრობის პასუხთან დაკავშირებით, რომელიც მას გადასცა 16 თებერვალს საბჭოთა წარმომადგენლობის მეთაურმა ტოკიოში ა. ი. დომნიცკიმ, განაცხადა:

— ვფიქრობ, მოლაპარაკების ადგილის საკითხი გადაწყდება საყოველთაო არჩევნებამდე (ესე იგი 27 თებერვლამდე. — **რედ.**). მიმაჩნია, რომ იაპონიის სრულუფლებიანი დელეგაციის მეთაურის პოსტზე შესაფერისი ფიგურაა არატა სუგიხარა (დემოკრატიული პარტიის საგარეო საქმეთა სპეციალური კომისიის თავმჯდომარე. — **რედ.**).

# დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვა

ბერლინი, 18 თებერვალი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობას მიმართა მოწოდებით 24 თებერვალი (ამ დღეს დანიშნულია პარიზის შეთანხმებათა მეორე წაკითხვა ბონის ბუნდესტაგში) გადააქციოს პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ ეროვნული ბრძოლის დღედ.

მიმართვაში აღნიშნულია, რომ ადენაუერი და მისი მომხრენი ისწრაფვიან რადაც უნდა დაუჯდეთ დაამტკიცებინონ პარიზის შეთანხმებანი, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ამ შეთანხმებათა უარყოფას მოითხოვს.

დადგა დრო, ხაზგასმით აღნიშნულია მიმართვაში, როცა გერმანელმა ხალხმა უნდა იმოქმედოს.

დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმი მოუწოდებს მოსახლეობას 24 თებერვალს რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და სოფელში მოაწყოს საპროტესტო მასობრივი მიტინგები და კრებები პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ.

# გამალებული საომარი მზადების ბიუჯეტი

## ინგლისის მთავრობის თეთრი წიგნი ინგლისის სამხედრო ხარჯების შესახებ

ლონდონი, 18 თებერვალი. (საკდესი). ლონდონში გამოქვეყნდა მთავრობის თეთრი წიგნი ინგლისის 1955-1956 საფინანსო წლის სამხედრო ხარჯების შესახებ. აღნიშნავს რა სამხედრო ხარჯების საერთო თანხას 1.537.200 ათასი გირვანქა სტერლინგის რაოდენობით (ბიუჯეტის ხარჯები, გარდა ამერიკის სამხედრო დახმარებისა, შეადგენს 1.494.200 ათას გირვანქა სტერლინგს), თეთრი წიგნი იმოწმებს „ძალის პოზიციიდან მშვიდობის" ყბადაღებულ პოლიტიკას და ცინიკური გულახდილობით გადმოგვცემს ატომური ომის მომზადების გეგმას. თეთრ წიგნში ნათქვამია, რომ ინგლისი დაიწყებს წყალბადის ბომბების წარმოებას. იმეორებს რა გაცვეთილ ჭორებს იმის შესახებ, რომ თითქოს „საბჭოთა კავშირის სახმელეთო ძალების უპირატესობა" საფრთხეს უქმნის დასავლეთ ევროპას, თეთრი წიგნი ამტკიცებს, რომ „ატომგულის იარაღის გამოყენება ერთადერთი საშუალებაა, რომლითაც შეიძლება ამ დიდი უპირატესობის გაწონასწორება". იმოწმებს რა ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ორგანიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებებს, თეთრი წიგნი პირდაპირ აცხადებს, რომ მომავალ ომში დასავლეთის სახელმწიფოებს „მოუხდებათ მათს განკარგულებაში არსებული ყველა სახეობის იარაღის გამოყენება". ინგლისის ამოცანა, ნათქვამია შემდეგ თეთრ წიგნში, ის არის, რომ განამტკიცოს თავისი სამხედრო ძლიერება „ყველა სახეობის ატომგულის იარაღის საკუთარი მარაგის დაგროვების გზით და წარმოების ყველაზე თანამედროვე საშუალებათა განვითარების გზით".

ატომური ომისათვის მზადების გაძლიერებასთან ერთად თეთრი წიგნი ითვალისწინებს ინგლისის ჯარების სადამსჯელო მოქმედების გაძლიერებას კოლონიებში, ესე იგი კოლონიების ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ.

შემდეგ თეთრი წიგნი მიმართავს უხადრუკ ცდას ატომური და სხვა სახეობათა იარაღის დარგში საომარი მზადების საერთო გაძლიერება შენიღბოს ლიტონი განცხადებით იმის შესახებ, რომ თითქოს ინგლისის საბოლოო მიზანია „აიკრძალოს არა მარტო ყველა სახეობის ატომგულის იარაღის, არამედ აგრეთვე მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის გამოყენება, ფლობა და წარმოება".

სურს რა განიარაღების მომხრედ წარმოგვიდგინოს ინგლისი, თეთრი წიგნი თვალთმაქცურად ცდილობს საბჭოთა კავშირს დააკისროს ბრალი იმისათვის, რომ ამ საკითხში დღემდე არ არის მიღწეული არავითარი შეთანხმება.

თეთრ წიგნში შექებულია რეაქციული ბლოკების — ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ორგანიზაციისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამხედრო კავშირის შექმნა, აგრეთვე ლონდონისა და პარიზის შეთანხმებანი დასავლეთ გერმანიის შეიარაღების შესახებ.

# ინგლისის თემთა პალატაში

ლონდონი, 19 თებერვალი. (საკდესი). როგორც პარლამენტის ოფიციალური ანგარიშიდან ჩანს, 17 თებერვალს თემთა პალატაში პარლამენტის მთელი რიგი წევრები მოითხოვდნენ თავიანთი უფლების განხორციელებას — განეხილათ საერთაშორისო საკითხები, რომლებიც მათ აღელვებთ. კერძოდ, ბივენმა მოითხოვა განეხილათ რეზოლუცია, რომელიც მან და 107 ლეიბორისტმა შეიტანეს და რომელიც გმობს მთავრობას იმისათვის, რომ მან უარი თქვა დაეწყო მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან გერმანიის საკითხზე პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციამდე. როგორც ცნობილია, ამ რეზოლუციაში გამოთქმული იყო მწუხარება აგრეთვე იმის გამო, რომ აქამდე არ შესრულებულა პარლამენტის ერთსულოვანი გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ საჭიროა მოეწყოს დიდ სახელმწიფოთა შეხვედრა შეიარაღების შემცირებისა და ამ შეიარაღებისადმი კონტროლის დაწესების პრობლემების გადასაჭრელად და ისეთი პოლიტიკის შესამუშავებლად, რომლის მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება.

კონსერვატორი ხინჩინგბრუკი და ლეიბორისტები ჯეფრი ბინგი და ჰაროლდ დევისი მოითხოვდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამხედრო კავშირის ქვეყნების კონფერენციაზე ბანგკოკში იდენის წასვლამდე განხილულ იქნას კრიზისული მდგომარეობა შორეულ აღმოსავლეთში, კერძოდ, საკითხი ტაივანის რაიონში არსებული მდგომარეობისა და ამ რაიონში ინგლისის პოლიტიკის შესახებ.

თემთა პალატის ლიდერმა კრუკშენკმა უარი განაცხადა დაეთმო დრო ბივენისა და სხვა ლეიბორისტების რეზოლუციის განხილვისათვის და არავითარი პასუხი არ გასცა მოთხოვნებზე — განეხილათ შორეულ აღმოსავლეთში არსებული მდგომარეობა, იმ საბაბით, რომ ეს პრობლემები დაკავშირებული არ არის ერთმანეთთან, თუმცა ბივენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მის რეზოლუციაში ნათქვამი იყო, რომ საჭიროა მოლაპარაკება საერთაშორისო დაძაბულობის ყველა მიზეზის შესახებ.

პარიზის შეთანხმებანი ითვალისწინებენ დასავლეთ ევროპის სამხედრო კავშირის შექმნას, რომელიც უნდა გახდეს ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის, ასე ვთქვათ, დამკვრელი კოლონა. დასავლეთ ევროპის სამხედრო კავშირში სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებთან ერთად შეჰყავთ აგრეთვე დასავლეთი გერმანია.

(გაზეთებიდან).



ნახ. ი. ქოქიაშვილისა.

ძია სემს დარდი აწუხებს ძველი:
სურს გადაყლაპოს სამყარო მთელი,
კბილებიც მისთვის აქვს დალესილი,
მადაგახსნილი დგას დალესივით.

ადენაუერს აქვს ყველა შანსი —
დაბლა დაეცეს, ვით მენდეს-ფრანსი...
და ძია სემიც ვერ ელირსება,
რომ გადათელოს ხალხთა ღირსება.

# საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 18 თებერვალი. (საკდესი). დღეს კანდიდატმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე სოციალისტმა კრისტიან პინომ თავისი პროგრამა ჩამოაყალიბა ეროვნულ კრებაში და წარადგინა ახალი მინისტრების სია.

საფრანგეთის კონსტიტუციაში ამას წინათ შეტანილ ცვლილებათა შედეგად ეროვნული კრება ერთსა და იმავე დროს უნდა ამტკიცებდეს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პროგრამასა და რწმუნებებს და მისი მთავრობის შემადგენლობას. მის რწმუნებათა დამტკიცებისათვის ახლა საჭიროა არა აბსოლუტური უმრავლესობა (დეპუტატთა რიცხვის ნახევარზე მეტი), არამედ მხოლოდ ხმების შედარებითი უმრავლესობა.

კრისტიან პინოს მიერ ჩამოყალიბებული პროგრამა იმას მოწმობს, რომ საგარეო პოლიტიკის დარგში საფრანგეთის ახალ მთავრობას განზრახული აქვს დაიცვას წინანდელი პროამერიკული კურსი. პინომ განაცხადა, რომ მას განზრახული აქვს მიაღწიოს დასავლეთ გერმანიის შეიარაღების შესახებ პარიზის შეთანხმებათა საბოლოო რატიფიკაციას, რადგან, მისი სიტყვით, ეს საჭიროა იმისათვის, რომ „დავიცვათ ერთგულება ჩვენი კავშირებისა და ატლანტიკის სოლიდარობისადმი".

რამდენადაც დასავლეთ გერმანიის შეიარაღების გეგმები საფრანგეთში ფართო მასების დიდ შეშფოთებასა და წინააღმდეგობას იწვევს, პინო შეეცადა შეენიღბა ეს გეგმები დიდი ხნის მხილებული მტკიცებებით, რომ თითქოს შესაძლებელია „მოლაპარაკება აღმოსავლეთთან" პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის პარალელურად.

პინომ კვლავ წამოაყენა დასავლეთის ქვეყნების „შეიარაღების პულის" იდეა, რომელიც მენდეს-ფრანსმა გამოიყენა დასავლეთ გერმანიის შეიარაღების პოლიტიკის გასამართლებლად, მაგრამ რომელიც უკვე დასამარებულია „დასავლეთ ევროპის კავშირის" სხვა მონაწილეთა, უწინარეს ყოვლისა ინგლისისა და დასავლეთ გერმანიის ერთსულოვანი ღონისძიებებით.

შეეხო რა ინდოჩინეთში არსებულ მდგომარეობას, პინომ განაცხადა, რომ მისი მთავრობა ეცდება შეინარჩუნოს იქ საფრანგეთის ეკონომიური და კულტურული გავლენა.

პინოს განცხადებიდან ჩანს, რომ ომის დამთავრება ინდოჩინეთში შვებას ვერ მისცემს ფრანგ ხალხს, რადგან საფრანგეთი განაგრძობს შეიარაღებასა და ახალი ომისათვის მზადებას. ინდოჩინეთში „ომის დამთავრებამ, — თქვა პინომ, — უნდა შექმნას იმის შესაძლებლობა, რომ საფრანგეთის არმია გარდაიქმნას თანამედროვე სტრატეგიის მოთხოვნების შესაბამისად...".

პინო ამტკიცებდა, რომ საომარი მზადება საჭიროა თითქოს იმ შემთხვევისათვის, თუ საფრანგეთს „თავს დაესხმიან". მან თქვა, რომ მთავრობას განზრახული აქვს შეიტანოს პარლამენტში ახალი კანონპროექტი „თავდაცვის" სახსრების ასიგნების შესახებ.

შეეხო რა ჩრდილოეთ აფრიკის პრობლემებს, რომელთა განხილვაც მენდეს-ფრანსის მთავრობის დაცემის ფორმალური მიზეზი გახდა, პინომ პირობა დადო, რომ ტუნისსა და მაროკოში განახორციელებს „რეფორმებს", რომლებიც მრავალჯერ აღუთქვამთ საფრანგეთის წინანდელ მთავრობებს.

პინოს პროგრამა საშინაო პოლიტიკის დარგში აღსავსეა ეკონომიური და სოციალური ხასიათის დიდი ხნის წინათ ცნობილი დემაგოგიური დაპირებებით, რომლებსაც ჩვეულებრივ საფრანგეთის მემარჯვენე სოციალისტური ლიდერები იძლევიან. ეს დაპირებები ეხება საბინაო მშენებლობას, სკოლების მშენებლობას, ექსპორტის, კერძოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტის გაფართოებას და სხვ. მაგრამ პინოს არ აღუნიშნავს, თუ როგორ უზრუნველყოფს იგი ამ პროგრამის შესრულებას, რომელიც არ შეესაბამება შეიარაღებისა და სამხედრო ბლოკებში მონაწილეობის გეგმებს.

პინომ მოითხოვა „განსაკუთრებული რწმუნებანი" „საგადასახადო და სოციალური პრობლემების" გადასაწყვეტად.

რაც შეეხება ახალ მთავრობას, რომლის წევრთა სიაც პინომ ეროვნულ კრებას წარუდგინა, იგი წარმოადგენს სოციალისტების, „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის" პარტიის წევრების, რადიკალ-სოციალისტებისა და მათთან ახლო მდგომი მემარჯვენე პარტიის — „წინააღმდეგობის დემოკრატიული და სოციალისტური კავშირის" წევრების კოალიციას. მთავრობის შემადგენლობაში შევიდა აგრეთვე ზოგიერთი „სოციალური რესპუბლიკელი" (ყოფილი დეგოლელთა ჯგუფის წევრები), თუმცა „სოციალურ რესპუბლიკელთა" ჯგუფს, ისევე როგორც სხვა მემარჯვენე ჯგუფებს, მხარი არ დაუჭერია პინოს კანდიდატურისა და მისი პროგრამისათვის. მთავრობის მეთაურს კრისტიან პინოს ეკუთვნის აგრეთვე საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელი.

სიაში აღნიშნული მოღვაწენი მინისტრები გახდებიან მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათს კანდიდატურებს ეროვნული კრება დაამტკიცებს.

პინოს გამოსვლის შემდეგ დაიწყო კამათი.

# საფრანგეთში მთავრობის კრიზისი გრძელდება

პარიზი, 19 თებერვალი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, დღეს ღამით საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ აზრი გამოთქვა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე სოციალისტი კანდიდატის კრისტიან პინოს რწმუნებათა და მთავრობის პროგრამის დამტკიცების წინააღმდეგ. ამრიგად, მთავრობის კრიზისი საფრანგეთში გრძელდება.

პარიზი, 19 თებერვალი. (საკდესი). სოციალისტმა კრისტიან პინომ, რომელმაც თავისი მთავრობის პროგრამა და შემადგენლობა დასამტკიცებლად წარუდგინა საფრანგეთის ეროვნულ კრებას, მარცხი განიცადა. მთავრობის პროგრამისა და შემადგენლობის მოწონებას ხმა მისცა 268 დეპუტატმა (სოციალისტები, „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის" ჯგუფის წევრები, რადიკალების უმრავლესობა და „წინააღმდეგობის დემოკრატიული და სოციალისტური კავშირის" წევრთა ნაწილი), წინააღმდეგ — 312 დეპუტატმა (კომუნისტები და „სოციალური რესპუბლიკელები", „დამოუკიდებელი რესპუბლიკელები", „რესპუბლიკური და სოციალური მოქმედების" ჯგუფი, „დამოუკიდებელი გლეხთა პარტია", „ზღვის გაღმა ტერიტორიების დამოუკიდებლები" და სხვ.).

კენჭისყრის წინ გაჩაღებული კამათის მსვლელობაში ორატორთა უმრავლესობა აკრიტიკებდა როგორც კაბინეტის შემადგენლობას, ისე კრისტიან პინოს პოლიტიკურ ხაზს.

„დამოუკიდებელ რესპუბლიკელთა ეროვნული ცენტრის" წარმომადგენლებმა რეინომ და ლექანდრმა გააკრიტიკეს პინოს სოციალურ-ეკონომიური პროგრამა და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამ პროგრამასთან დაკავშირებით მოსალოდნელია ფასების ზრდა.

ვრცელი სიტყვა წარმოთქვა კომუნისტმა დეპუტატმა ეტიენ ფაჟონმა, რომელმაც მკვეთრად დაგმო პინოს მისწრაფება მიაღწიოს პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციას, მაშინ როცა ამ შეთანხმებებს მთელი ფრანგი ხალხი უარყოფს.

ფაჟონმა ამხილა უსაფუძვლობა პინოს მტკიცებისა საბჭოთა კავშირთან ყბადაღებული „პარალელური" მოლაპარაკების შესაძლებლობის შესახებ.

შემდეგ მან განაცხადა, რომ არავითარი სოციალური პროგრესი არ არის შესაძლებელი, თუ საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის კურსი არ შეიცვალა, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საფრანგეთის კომუნისტური პარტია მზად არის მხარი დაუჭიროს ყოველ მთავრობას, რომელიც განახორციელებს მშვიდობის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესის პოლიტიკას.

ზოგიერთი სხვა დეპუტატის გამოსვლის შემდეგ ტრიბუნაზე ავიდა სიბიუე, რომელიც ეკუთვნის ამას წინათ პარიზის შეთანხმებათა წინააღმდეგ ხმის მიცემისათვის პარტიიდან გარიცხული 17 სოციალისტი დეპუტატის ჯგუფს. ყოველგვარი გაუგებრობა რომ გაიფანტოს, განაცხადა მან, ჩვენ გვინდა ვთქვათ, რომ ჩვენი პოზიცია არ შეცვლილა. რა მთავრობამაც უნდა მოითხოვოს პარიზის შეთანხმებათა საბოლოო რატიფიკაცია, ჩვენ უარს ვაცხადებთ მივცეთ ჩვენი თანხმობა გერმანიის შეიარაღებაზე.

გამოვიდა რა იმ დეპუტატთა ჯგუფის სახელით, რომლებიც არავითარ პარტიას არ ემხრობიან, ანდრე დენიმ განაცხადა, რომ ეს ჯგუფი ხმას არ მისცემს პინოს მთავრობას, რადგან არა სურს დაეხმაროს დასამარებული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" აღორძინებას.

ღამის სხდომაზე პინომ პასუხი გასცა დეპუტატების შეკითხვებსა და განცხადებებზე. მცირე შესვენების შემდეგ მოკლე სიტყვები წარმოთქვეს საპარლამენტო ჯგუფების წარმომადგენლებმა კენჭისყრის მოტივების გამო, ხოლო შემდეგ ეროვნული კრება შეუდგა კენჭისყრას.

ხმების დათვლისთანავე, დილის სამ საათზე ადგილობრივი დროით, კრისტიან პინო ეწვია პრეზიდენტ რენე კოტის, რომელსაც აცნობა, რომ ჩაიფუშა მისი ცდა — მიეღწია იმისათვის, რომ ეროვნულ კრებას მოეწონებინა მის მიერ შედგენილი მთავრობა.

რენე კოტიმ დაუყოვნებლივ განაახლა კონსულტაციები და მიიღო პარლამენტის ორივე პალატის წარმომადგენლები და მთელი რიგი საპარლამენტო ჯგუფების ლიდერები.

# უთანხმოება საფრანგეთის სოციალისტურ პარტიაში

პარიზი, 18 თებერვალი. (საკდესი). საფრანგეთის სოციალისტური პარტიის საპარლამენტო ჯგუფში კვლავ მწვავდება შინაგანი უთანხმოება. ამ ჯგუფმა აქამდე ვერ შეძლო აერჩია თავისი თავმჯდომარე 1955 წლისათვის, რადგან მისმა ყოფილმა ხელმძღვანელმა შარლ ლიუსიმ უარი თქვა კვლავ იკისროს ეს ამოცანა. გუშინ ჯგუფის თავმჯდომარედ აირჩიეს ედუარდ დეპრე. მაგრამ ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ მას არ დაუსახელებია თავისი კანდიდატურა და რომ იგიც უარს ამბობს იკისროს თავმჯდომარის ფუნქციები.

# ატომური ომის მომზადების წინააღმდეგ

## ხელმოწერის შეგროვება იტალიაში

რომი, 18 თებერვალი. (საკდესი). პროგრესულ პრესაში გამოქვეყნებულია ცნობები ატომური ომის მომზადების წინააღმდეგ მსოფლიოს ხალხებისადმი ვენის მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანიის მსვლელობის შესახებ.

მარტო 14 თებერვალს შეგროვებულია 24 ათასი ხელმოწერა რაგუზის პროვინციაში, 21 ათასი ხელმოწერა კატანიის პროვინციაში და 3 ათასი ხელმოწერა ჯელაში (კალტანისეტის პროვინცია). ლენიანოში (მილანის პროვინცია) მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას ხელი მოაწერა ერთი საფეიქრო ფაბრიკის 550 მუშამ და მოსამსახურემ 600-დან. სესტო სან-ჯოვანში (მილანის პროვინცია) რამდენიმე საათში შეაგროვეს 5 ათასი ხელმოწერა. კასტელ გუელფოში (ბოლონიის პროვინცია) მიმართვას ხელი მოაწერა ქალაქის ნახევარმა მოსახლეობამ.

ქალაქებსა და სოფელ ადგილებში ეწყობა მანიფესტაციები და კრებები ატომური იარაღის მარაგის მოსპობისა და მისი წარმოების აკრძალვის მოთხოვნისათვის მხარდასაჭერად.

მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანიის მსვლელობაში იზრდება იტალიის მშვიდობის მომხრეთა რიგები.

# ჰოლანდიელ პატრიოტთა ბრძოლა დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ

ჰააგა, 19 თებერვალი. (საკდესი). ჰოლანდიაში ფართოვდება მოძრაობა დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ. დემოკრატიული პრესის ცნობებით, გერმანიის რევანშისტთა შეიარაღების საწინააღმდეგო პროტესტს უკვე ხელი მოაწერა 160 ათასმა ჰოლანდიელმა პატრიოტმა.

# საერთაშორისო შეჯიბრებები კალათბურთში







ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის კალათბურთელთა მიღწევები ფართოდ არის ცნობილი. ამიტომ საქართველოში მათ დიდი ინტერესით მოელოდნენ.

პირველი შეხვედრა... 18 თებერვლის საღამოს 7 საათია. ლამაზად მოურთავთ თბილისის ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზი, რომელიც ახლახან იქნა რეკონსტრუირებული. მარშის ხმაზე დარბაზში შემოდიან მეგობრები — ჩეხოსლოვაკიისა და საქართველოს კალათბურთელები. სტუმრებს მიესალმა საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე. საპასუხო გულთბილი სიტყვით გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელი იაროსლავ იერჟაბეკი. ჟღერს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისა და საქართველოს სახელმწიფო ჰიმნები.

საზეიმო ცერემონიალი დამთავრდა. სასპარეზოდ გამოდიან ჩეხოსლოვაკიისა და კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა ნაკრები გუნდები. საქართველოს კალათბურთელებმა სტუმრებს თაიგულები უძღვნეს. ჩეხოსლოვაკიის გუნდის კაპიტანმა გ. ეზროვამ მასპინძლებს სამახსოვრო ვიმპელი გადასცა.

რამდენიმე წუთით წვრთნა... კალათბურთელებთან ერთად მოედანზე არიან მსაჯები კარელ კლიმა (ჩეხოსლოვაკია) და ვ. ჯაფარიძე (თბილისი).

თამაში დაიწყო. თავიდანვე ტემპიანი ბრძოლა გაჩაღდა. თბილისელებს პირველი ორი ქულა ვ. გნიოტოვამ მოუტანა. მალე მანვე ანგარიში 5 : 0 გახადა. სტუმრები არ დაიბნენ. თბილისელთა წარმატებას ისინი კონტრშეტევით უპასუხებენ. ს. გუბალკოვა და მ. ბლაგაუტოვა ანგარიშს ათანაბრებენ — 5:5. მე-7 წუთზე ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელები დაწინაურდნენ (13 : 11), მაგრამ თბილისელებმა საპასუხო ბურთების ჩაგდებით უპასუხეს და ტაიმი თავიანთ სასარგებლოდ ანგარიშით 45 : 40 დაამთავრეს.

შეჯიბრების მეორე ნახევარი დაძაბულად მიმდინარეობდა და დამთავრდა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის კალათბურთელ ქალთა გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 72:71.

რამდენიმე წუთის შემდეგ დაიწყო ჩეხოსლოვაკიისა და თბილისის „დინამოს" ვაჟთა გუნდების შეჯიბრება. თამაშს სჯიდნენ სიგიზმუნდ ფერენცი (რუმინეთი) და ვესელინ ტემპკოვი (ბულგარეთი). თამაში წარიმართა დინამოელთა უპირატესობით, რომლებმაც პირველი ტაიმი თავიანთ სასარგებლოდ (34 : 24) დაამთავრეს.

შეჯიბრების მეორე ნახევარში თბილისელებმა ტემპი შეანელეს. არ იგრძნობოდა მათთვის ჩვეული კოლექტიური და ტექნიკური ბრძოლა, ხშირად ეცამათებოდნენ ერთმანეთს, რის შედეგად პირველი ტაიმის ქულათა სხვაობა ათიდან სამამდე დაიყვანეს. უკანასკნელ წუთებში დინამოელებმა საჯარიმო სროლით შეძლეს კალათში რამდენიმე ბურთის ჩაგდება და მოიგეს შეჯიბრება ანგარიშით 59 : 53.

შეხვედრის მეორე დღეს, 19 თებერვალს, ერთმანეთს შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისა და საქართველოს ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდები.

პირველად გამოდიან კალათბურთელი ქალები. საქართველოს გუნდმა ვერ შეძლო პირველ ტაიმში მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება და წააგო შეჯიბრება ანგარიშით 59 : 66.

ძალალი ტემპით იბრძოდა ჩვენი რესპუბლიკის კალათბურთელ ვაჟთა გუნდი ო. ქორქიას, ნ. ჯორჯიკიას, ლ. ინწკირველის, ა. კილაძის, ვ. გვანცელაძის და სხვათა შემადგენლობით. მე-10 წუთისათვის ანგარიში იყო 17 : 11, მე-14 წუთისათვის — 20 : 14, ხოლო პირველი ტაიმის ბოლოს 33 : 23 საქართველოს გუნდის სასარგებლოდ. შეჯიბრების მეორე ნახევარში სტუმრები მთელი ენერგიით იბრძოდნენ, მაგრამ თამაშში გარდატეხა ვერ შეიტანეს. მეგობართა მატჩი დამთავრდა საქართველოს გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 74 : 55.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისა და საქართველოს კალათბურთელთა გუნდების შეხვედრამ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

**ვ. გაბელია.**

**სურათებზე:** ზევით — შეჯიბრებაში მონაწილეთა პარადი. ქვევით — ვაჟთა და ქალთა გუნდების თამაშის მომენტები.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

# საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ჩემპიონატი

18 თებერვალს გაიმართა მეხუთე ტური. მრავალი მაყურებლის ყურადღების ცენტრში იყო ბოტვინიკ-გელერის შეხვედრა. გაიმარჯვა გროსმაისტერმა გელერმა.

გროსმაისტერმა კოტოვმა მოუგო კანს. ილივიცკი-კორჩნოის, ავერბახ-შჩერბაკოვის, ფლორლისიცინის შეხვედრები ყაიმით დამთავრდა.

დაუმთავრებელი დარჩა ტაიმანოვ-ბორისენკოს, სმისლოვ-მიკენასის, სიმაგინ-ანტოშინის, ფურმან-კერესის, სპასკი-პეტროსიანის პარტიები.

ხუთი ტურის შემდეგ ჩემპიონატის ლიდერია გროსმაისტერი გელერი, რომელმაც 4,5 ქულა მოაგროვა 5 შესაძლებელში.

**რედაქტორი ნ. ჯაში.**


**დღეს**

**თბილისის თეატრებში**

**ოპერისა და ბალეტის** — წითელი ყაყაჩო (დილას), დაისი (დ. გამრეკელის მონაწილეობით, საღამოს), **რუსთაველის სახელობის** — დიდი ხელმწიფე (დილას), ახალგაზრდა მასწავლებელი (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — ხვალინდელი დღე ჩვენი იქნება (დილას), გიორგი სააკაძე (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — გვარის დაუსახელებლად (დილა-საღამოს), **სომხური დრამის** — სასიძოები (დილა-საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — მეგობრები (დილა-საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ეს მოხდა მოსკოვში (აბონემენტი № 50, 12 ს.), გლახის ნაამბობი (აბონემენტი № 23, 7 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — მისი მეგობრები (11 ს.) **თოჯინების ქართული** — ბაირი (12 და 4 ს.).

**კინოთეატრებში**

**რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, ისანი, პლეხანოვისა და ვორონშილოვის სახელობის კლუბები** — მსოფლიოს ჩემპიონი, **კიროვის სახელობის პარკი, კომკავშირელი, გორკის სახელობის კლუბი** — ვატერლოოს ხიდი, **კოლხიდა, ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — ფანფან-ტულპანი, **26 კომისრის სახელობის, ოფიცერთა სახლი** — ე. ტელმანი — თავისი კლასის შვილი, **დიდუბე** — ქარიშხალი, **კოლმეურნე** — ბაიჯუ ბავრა, **კომუნარების ბაღი** — განგა.

**თბილისის „დინამოს" სტადიონი**

20 თებერვალს

**ფეხბურთი**

გაზეთ **„ახალგაზრდა კომუნისტის"**

გარდამავალი პრიზის გათამაშება

**თბილისის ახალგაზრდათა ნაკრები გუნდი — ქალაქ თბილისის ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლის გუნდი**

დასაწყისი 14 საათზე.

თამაში გაიმართება სტადიონის მეორე საფეხბურთო მოედანზე.

მოქალაქე **ვასილ** ვასილის-ძე **ხმალაძემ**, მცხოვრებმა გურჯაანის ქ. № 18, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ელენე დავითის ასულ იკოშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის II უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე ქეთევან, შვილები ფარვიზი, ზაზა იუწყებიან

**ბიძინა იოსების-ძე მერკვილაძის**

გარდაცვალებას. გამოსვენება 20-II, 4 ს. წოლკნის ქ. № 3-ა.

მეუღლე პოლინა, შვილები ლერი, ნელი, მუხრან იუწყებიან

**თეოფანე ექვთიმეს-ძე გუგავას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-II სოფელ უსახელოში (ცაგერის რაიონი).



**რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი:** თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, **ტელეფონები განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის. პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 00135

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.